


140 / 1952/3

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ
ՊԱՐԹԵՆԱԿԱՆ
ՊՐԻՆՏԻՆԻ



Վ. Ն. Ն. Ն. Ն. Ն. Ն.

2
1952



პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
უკველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 2 თებერვალი 1952

საბლიტგამი
წელიწადი XXV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



თბილისი. მეტეხის ახალი ხიდი
ფოტო ზ. ავთოიძისა



იოსებ ბესარიონის ძე სტალინი

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

ცა იწყებს იისფრად შეფერვას,
ღრუბლები სამხრეთით მიდიან.
დღეს ჩიტი მისდევდა პეპელას,
ვიცანი—ჩიორა ჩიტია.
ბაზარში მომინდა შერბენა—
იებს და ენძელებს ყიდიან...
სალამი, სალამი თებერვალს!
ქუჩებში დროშებიც ჰკიდია!

საცაა დასკდება კვირტები,
საცაა ტყემალი ინათებს;
იმატებს იორის ზვირთები,
სამგორში ზღვის განი იმატებს.
თბილისში გალობენ ჩიტები,—
ჩიტივით გაფრენა ვინატრე...
დროშები შვების და დიდების
ანთია,— ენთოს და ბრწყინავდეს!

რად მიყვარს თებერვლის დროშები,
რად მიყვარს თებერვლის ნათელი?!
„მადლობა!“—გალობენ ნორჩები,
„მადლობა!“—გუგუნებს ქართველი...
დღეს მოკლეს ზამთარი ბებერი,
დღეს იშვა ჩანგი და ფანდური,
დღეს ოცდახუთია თებერვლის,
დღეს ოქტომბერია ქართული!

... ცა იწყებს იისფრად შეფერვას,
ღრუბლები სამხრეთით მიდიან.
დღეს ჩიტი მისდევდა პეპელას,
ვიცანი?—ჩიორა ჩიტია!
ბაზარში მომინდა შერბენა—
იებს და ენძელებს ყიდიან...
სალამი, სალამი თებერვალს!
ქუჩებში დროშებიც ჰკიდია!

მუკამან ლაბანიძე



5555

ოცდათერთმეტი წლის საბჭოთა რესპუბლიკა



1921 წლის 25 თებერვალს ქართველი ხალხის ისტორიაში ღირსშესანიშნავი თარიღია. ამ დღეს გამარჯვებით დაგვირგვინდა მუშების, გლეხების, ინტელიგენციის გამართული ბრძოლა თავიანთი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მათ სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის, მისი წითელი არმიის დახმარებით განადგურეს მერსევეების სისხლიანი რეჟიმი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს.

„თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს! გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ — ამ მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი დებუებით აცნობა სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვში ლენინსა და სტალინს ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ისტორიული ეპოქის დასაწყისი.

განვლილი 81 წლის განმავლობაში მთელმა რესპუბლიკამ არნახული ცვლილება განიცადა. სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს მშრომელთა ექსპლუატაცია, უფუფრეობა, შიმშილი და სიღარიბე, სახალხო მეურნეობის ტრადიციული ჩამორჩენილობა, განათლებისა და კულტურის დაბალი დონე. ახლა უჩვეულოდ განხლებული და დამშვენებულია ჩვენი ქალაქები და სოფლები.

დღითი დღე ვითარდება საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. სწრაფი ტემპით წავიდა წინ მრეწველობის საქმე. ომახილად და ომისუმდგომ ხუთწუდელებში შეიქმნა დაწვავიწმენებლობა, მანქანათმშენებლობა, შავი მეტალურგია, საფეიქრო, ქიმიური და საავტომობილო მრეწველობა.

რესპუბლიკა მდიდარია წიაღისეული სიმდიდრეებით. წლითიწლობით იზრდება ქვანახშირის ამოღება ტუბულში, ტყვარჩელში, ახალციხეში, მარგანცისა — ქიათურაში. მატულობს ენერგეტიკული რესურსები. ჩვენი ქალაქები და სოფლები მოფენილია მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების ფართო ქსელით, რომელიც დიდალ ენერჯიას იძლევა, ამოქმედებს საწარმოებს, ანათებს ქუჩებს, მშრომელთა ბინებს, მოძრაობაში მოჰყავს სატრანსპორტო საშუალებანი. ჯაპესას, რიონშისის, აბჰესის, აწუხის, სოხუმშისისა და სხვა მსხვილი ელექტროსადგურების შემდეგ 1947 წლის 18 დეკემბერს ამოქმედდა ხრამის მძლავრი ჰიდროელექტროცენტრალი.

დღემნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მეტალურგიის განვითარებაში. ბერკის ფელდობის ზესტაფონის ფეროშენარბაში, ავჭალის საფლად-თუჯის სამსხმელო ქარხნები რესპუბლიკას ამარაგებენ მაღალხარისხიანი ლითონით. ჩვენი სიამაყეა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც პროდუქციას უყვე დიდი რაოდენობით უშვებს. ეს ქარხანა აშენდა დიდი სტალინის უშუალო ინიციატივით.

გასული წელი რესპუბლიკის საწარმოო ცხოვრება-

ში კიდევ ერთი სერიოზული გამარჯვებით აღინიშნა. 18 ავგისტოს ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერიდან ჩამოვიდა პირველი ქართული ავტომანქანა — „კაზ-150“. ქუთაისში დამზადებული მანქანები ახლა მოძრაობენ არა მარტო საქართველოში, არამედ სსრ კავშირის შორეული მხარეების საავტომობილო მაგისტრალზეც.

უეფერხებულ განვითარებას განიცდის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა. წვერილი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობების ნაცვლად შექმნილია მსხვილი საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები. ისინი აღქურციდნი არიან გაუმჯობესებული იარაღ-მანქანებით, მუშაობაში იყენებენ მეცნიერების მონაპოვრებს, მიჩურინულ აგრობიოლოგიას, მოჰყავთ უხვი მოსავალი, ამაღლებენ სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურას. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები საკოლმეურნეო წყობილების შედეგად შეძლებულად ცხოვრობენ.

საქართველო მთელ სსრ კავშირში ცნობილია ჩაის, ციტრუსები, ყურძნის, ხილის უხვი მოსავლით. იგი ძირითადად აქმაუფილებს ჩაიზე სსრ კავშირის მთელ მოთხოვნილებას.

გასული წლის 4 ნოემბერი მარადსახსოვარ დღედ დარჩება ჩვენი ხალხის მეხსიერებაში. ამ დღეს განხორციელდა საქართველოს მშრომელთა დიდი ხნის ოცნება — მდინარე ივრის წყალი წამოვიდა ახალ კალაპოტში და „თბილისის ზღვაში“ ჩაეშვა. დიწყო სამგორის ურწყავი მიწის გამოცოცხლება. მდინარე იორი მორწყავს ათასობით ჰექტარ მიწას, მიაღწევს დაფარავს უხვდროებით კულტურები, გაშენდება ხილის ბაღები, ვენახები, წინანდელი ხროკი ველები ქართული პურით დაიფარება, იმატებს საკოლმეურნეო შრომის ბარაკა. სამგორის ზემო მაგისტრალური სარწყავი არხის გაყვანაში მთელი საქართველოს მშრომელები თანაბარი ინტერესით მონაწილეობდნენ. ხალხმა სამგორის არხს ამხანაგ სტალინის სახელი უწოდა. განახლებულ სამგორში უყვე ჩამოვიდნენ პირველი მოსახლებები, გააჩაღეს საკუთარი კერა, ახალ მიწაზე შეუდგნენ უხვი მოსავლისათვის ბრძოლას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში განსაკუთრებით სწრაფი ტემპით წავიდა წინ მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება, ლიტერატურა, კულტურა. ქართველ მეცნიერთა ნაშრომები დიდალ უწყობენ ხელს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობას. მაღალმატერულ ნაწარმოებებს ქმნიან ქართველი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, მოქანდაკეები, ჩვენს თეატრებში იდგმება საუკეთესო სექტაკლები.

დიდი ყურადღება ექცევა სახალხო განათლების საქმეს. რესპუბლიკაში ამჟამად არის 19 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 25 ათასამდე სტუდენტი სწავლობს. დღემდე გამოშვებულია 68 ათასამდე ახალგაზრდა სპეციალისტი. ისინი ენერგიულად მუშაობენ სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე.



ახალი თბილისი. სტალინის სახელობის სანაპიროსა და ბარათაშვილის ქუჩების კუთხე.

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიურ როლს ასრულებს ბექდვითი სიტყვა. საქართველოში გამოიღის 100-ზე მეტი ნაბეჭდი ჟურნალი და გაზეთი, მათ შორის 5 ახალგაზრდული და საბავშვო. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ მანძილზე დაიბეჭდა სამანუალებოები მეტი წიგნი, ვიდრე ქართული წიგნის ბეჭდვის დაწყებიდან, ე. ი. 300-ზე მეტი წლის განმავლობაში.

უდიდეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც ჰყავს 60 ნამდვილი წევრი და წევრ-კორესპონდენტი, აერთიანებს 43 სამეცნიერო დაწესებულებას. აკადემიის სისტემაში მუშაობს 800-ზე მეტი მეცნიერი თანამშრომელი, რომელთაგან 542 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენს ბავშვებზე. რესპუბლიკაში მათ აღზრდას ემსახურება 4300 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სადაც მუშაობს 44 ათასი პედაგოგი და სწავლობს 870 ათასამდე მოსწავლე. მოზარდი თაობის განკარგულებაშია პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, სასაღებო, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები. ბავშვები სისტემატურად ისვენებენ პიონერთა ბანაკებში, აწყობენ მოგზაურობას მშობლიურ მხარეში, ბუნების წიაღში იკრებენ ჯანდონეს, იწრთობიან ფიზიკურად, ემსჯელებიან კომუნაზმის მშენებელთა რიგებში ჩადგომისათვის. მათი კომუნისტური აღზრდის ამოცანას ღირსეულად ასრულებს ლენინურ-სტალინური კომპაგნირი. პიონერ-მოსწავლეები უფროსი ძმებისა და დებისაგან — კომკავშირელებისაგან სწავლობენ შრომის მოყვარეობას, შეუპოვრობას მიწის მიღწევაში, ბოლშევიკური პარტიისადმი ისევარულს, მშობლიური ხალხის ერთგულ

სამსახურს, კომუნისმის განხორციელებისათვის ბრძოლას.

საქართველოს მშრომელებმა საგრძნობი წვლილი შეიტანეს საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. ქართველი მეომრები სხვა მოძმე ხალხთა შვილების მხარდამხარ თავგამოდებით ებრძოდნენ ვერაკ მტრებს. ხოლო ზურგში დარჩენილი ადამიანები ფრონტზე შეუფერხებლად გზავნიდნენ სურსათს, ჩაცმულობას, საბრძოლო მასალებს. მამაცობისა და გამირობის გამოჩენისათვის ათასობით ქართველი მეომარი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, ხოლო 100-ზე მეტს მიენიჭა სსრ კავშირის გამირის წოდება.

ჩვენი რესპუბლიკის ყოველი მიღწევა, მშრომელთა სახიარულო და ბედნიერი ცხოვრება მოპოვებულია სახელგანთავსებელი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობითა და მზრუნველობით. საქართველოს ბოლშევიკებს წლების განმავლობაში სათავეში ედგა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ლავრენტი ბერია. ამხანაგმა ლ. ბერიამ პირნათლად განახორციელა დიდი ბელადის ყოველი მითითება და საქართველო სსრ კავშირის მოწინავე რესპუბლიკა, მისი ნამდვილი თვალმარაგალიტი გახდა.

სახელგანთავსებელი ოცდამეათეობითი წლისთავზე საბჭოთა საქართველოს მშრომელები ერთხელ კიდევ სიამაყით გადაავლებენ თვალს თავიანთ თვალსაჩინო გამარჯვებებს და უფრო ენერგიულად განაგრძობენ ბრძოლას კომუნისმის მშენებლობაში ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

პიონერული საღამო განახლებულ საქართველოს — ოცდათერთმეტი წლის საბჭოთა რესპუბლიკას!

საქვე კოსრეიძე



მონადირე

სოსო იორაბაშვილი

მ თ ს რ ო ბ ა

მხატვარი ბ. ფოცხიშვილი

წითელი ხიდისაკენ მიმავალ მანქანიდან სოფელ ქოსალოსთან ჩამოვხტით მე და ჩემი მეგობარი ანდრო, რომელსაც თან თავისი ცამეტი წლის ვაჟი — ზურაბიც ახლდა.

გადავიარეთ ერთი ტრიალი მინდორი, რომელსაც აქა-იქ გაყინული თოვლი კიდევ შეჩინოვდა და გეზი მდინარე ალგეთისაკენ ავიღეთ. ჩვენ ფეხქვეშ თოვლი ხრამ-ხრამობდა. ზურაბი თავისი ნაბდისყელიანი ჩექმებით სწრაფად მიგომანობდა წინ.

— რა გქნა, უარი ვეღარ ვუთხარი, — მიუთხრა ჩემმა მეგობარმა ზურაბზე, — საშიშია კია ბავშვის წამოყვანა ამ სიცივეში, მაგრამ არც ის მინდა, სულ დედასთან და დედებთან იჯდეს, ბიჭია, აქედანვე თუ არ შეიჩვია სიარულს და სიცხე-სიცივის ატანას, უნდოდა გაიზრდებოდა. მერე ერთი ამბავიც არის. — აქ ანდრომ ხმას დაუწია ისე, რომ ბავშვს არ გაეგონა. — პირობა გვქონდა: თუ კარგ ნიშნებს მოიტანდა ამ საახალწლო არიდებებზე, სანადიროდ უნდა წამეყვანა. რაჟი მან პირობა შეასრულა, ვერც მე გადავედი ჩემს სიტყვას. სულ ხუთიანები მომიტანა სახლში. სკოლშია და კედლის გაზეთის რედაქტორად აურჩევიათ, მოდი და ასეთ შვილს აწყენინე. ის ორლულიანი „ტულკაც“ ამიტომ ვაჩუქე მას.

მაღე მდინარე ალგეთის გორაკებიან ნაპირებს გადავადექით.

თოვლზე კურდღლისა და მელიას კვალი ჩანდა, კვალმა დაბლა ჭალაში ჩავიყვანა.

— სოლოა თუ იცი, ზურაბ? — შევეკითხე. ბიჭმა გაიღიმა, თითქოს უნდოდა ეთქვა — რა საკითხავიაო. მის მავივრად მამამ მიპასუხა:

— ოთ, სოლოში არა უშავს რა. დამჯდარს არ ააცდენს და ახლა უკვე გაფრინო-

ზე ვარჯიშობს. ერთი კურდღელიც ითვლება მის ანგარიშზე, ამ შემოდგომაზე მოკლა გალმა სოფელ ყაჩაღანთან.

— მამა, ეს რის კვალია? — შემოგვესმა ზურაბის ძახილი. ამ დროს ალგეთის მორევიდან გარეული იხვების გუნდი აფრინდა.

— ახ, შე უჭკუო, რა გაყვირებდა? ზედ წაედებებოდი. — თქვა ანდრომ. დიდხანს ვადევნებთ თვალი იხვების გუნდის ტრიალს. კარგა მოშორებით დაფრინდნენ ხევში. გუნდის დაფრენა და თოფმომარჯვებული ზურაბის ადგილიდან მოწყვეტა ერთი იყო. მამის დარიგებას, თუ საიდან უნდა მოევლო იხვებისათვის, გაქცეულმავე უპასუხა — ვიცი, ვიციო, და მალე თვალს მიეფარა.

ჩემმა ბათურამ ერთი დაპირა სულწასულ მონადირეს თან გაჰყოლოდა, მაგრამ მე რომ დამინახა აუჩქარებელი, იქვე ლაქაშებმორეულ მაყვლის ბარდებისაკენ წავიდა. ყნოსვით.

— აი, მარტო ამიტომ არ ვარგა ბავშვის სანადიროდ წამოყვანა. ვერც თვითონ მიუდგება სასროლად და არც ჩვენ გვაცლის. ხედავ? — მიუთხრა ანდრომ.

ამ დროს ჩემი ბათურა ლაქაშებიდან წამოტუნით გამოვარდა კულამოძეებული და თითქოს ვინმემ დაარტყა რამეო, შემინებული ჩვენსკენ გამოიქცა. ორივემ გაკვირვებულად გადავხედეთ ერთმანეთს და უსიტყვოდ იმ ადგილისაკენ გავეშურეთ, საიდანაც ძაღლი გამოიქცა.

— უთუოდ მსხვილი ნადირია! — თქვა ანდრომ, ბარდებში ქვა გადაისროლა და დაუცაცხანა.

მეც ამასვე ვაპირებდი, მაგრამ ქვის ასაღებად რომ დავიკუთხე, ერთ ადგილას თოვლზე ნადირის ნაფეხური შევნიშნე. უნდა დამე-

ძახნა ანდროსათვის — მგელი იქნება, აგერ კვალი-მეთქი, რომ ამ დროს ლაქაშების მხრიდან ლაწა-ლუწი ატენა რაღაცამ. იგი მდინარის მარცხენა ნაპირზე, სწორედ იმ მიმართულებით გაეშურა, რომელზედაც სამი წუთის წინ პატარა ზურაბმა გაიზინა, ეს იყო მგელი.

სიშორის გამო თოფის სროლა უაზრო იქნებოდა.

— ვაიმე! ბავშვს არა აენოს რა მაგ გასაწყვეტმა! — წამოიძახა სასოწარკვეთილმა მამამ და ორივე ზურაბისკენ გავიქეციით მისაშველებლად.

უეჭველი იყო, მგელი გასაქცევად ძიძვებიან ციცაბო ფერდობს არ ამოირჩევდა და ხევში მიმავალ ბილიკს გაჰყვებოდა. ჩვენზე აღდრე ბავშვს მგელი დაეწყო და შველა ზურაბისათვის უკვე აღაზარით შეგვეძლო.

— ზურიკო...ო...ო...ო! — მგელი წამოვიდა, შენსკენ, არ შეგეწინდეს! — გაჰყვირა რამდენიმეჯერ ანდრომ ისეთი გამეტებით, რომ თითქოს გული თან ამოაჯანაო.

— ეს რა მომივიდა, ბავშვი გადაირევა შიშისაგან, — წუწუნებდა ანდრო და თან რაც შეეძლო გარბოდა. რა თქმა უნდა, მეც თან მივდევდი და ვაიმედებდი დაშინებულ მამას.

ამ დროს ჩვენგან სამასიოდ მეტრის დაშორებით გავარდა თოფი. ორივენი შეეჩერდით. გავარდა მეორეც.

ანდრომ ერთი შემომხედა დაბნეულად. უნდოდა ჩემგან მიეღო პასუხი, თუ რას მოასწავებდა ჩვენს მახლობლად ორჯერ გასროლილი თოფის ხმა, მაგრამ რაყი მეც არაფრის თქმა არ შემეძლო, ისევე წინ გავიქეციით.



ჩვენგან სამასიოდ მეტრის დაშორებით გავარდა თოფი. ორივენი შეეჩერდით.

ერთ ადგილას, მდინარის მარჯვენა ნაპირისაკენ, ხევი მოღუნული იყო, მარცხენა მხრიდან კი პატარა გორაკი ჩამოდიოდა და ალგეთში იჭრებოდა. მგლის ნაკვალევი ალგეთის ნაპირას შემოჭრილ გორაკზე გადიოდა. ნაკვალევს ავეყვით. გადავიხედეთ თუ არა გორაკის მეორე მხარეს, შემდეგი სურათი დავინახეთ:

გაყინულ თოვლზე რაღაც შავი ინძრეოდა, კუნელის ბუჩქის იქიდან თითქოს ზურაბის თავი მოსჩანდა თავის ყურებიანი თბილი ქუდით.

უფრო ახლოს რომ მივედით, ის შავი საგანი მგელი აღმოჩნდა, რომელიც თურმე სასიკვდილოდ იკრუნჩხებოდა და უკანასკნელად სჭიმავდა გაყინულ თოვლზე ფეხებს. კუნელის ჩირაგვს იქიდან კი მართლაც ზურაბი იდგა. მას ჩვენს მისვლამდე მოესწრო თოფში ვაზნების ხელმოკრულ ჩალაგება და საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი უყურებდა თავის მსხვერპლს, — კიდევ საჭიროა სროლა თუ არაო. მაგრამ მგლის ჭრილობებს რომ დავაკვირდით, დავრწმუნდით — არც მეორე გასროლა ყოფილა საჭირო. პირველი გასროლით ალუბლის კურკის სიმსხო კარტეხით გატენილი ვაზნა მარჯვენა ყურისძირში დაუხსნა ზურაბს მგლისთვის ათიოდე მეტრის მანძილიდან და მგელი მაშინვე გადატრიალებულიყო. ჯგუფად გატენილ კარტეხს მაჯის სიმსხოზე შეეგლიჯნა მგლისათვის ყურის ძირი. პატარა მონადირეს დამატებით, ოთხი ნომერი საფანტით სულ დაცხრილა თავპირი მგლისათვის.

— ეს რა გიქნია, ბიჭო? — პირველი მისვლისთანავე შესძახა გახარებულმა მამამ თავის მამაც მვილს.

ზურაბი, თითქოს დანაშაულში წასწრებოდა, ისე დააკვირდა მამას და უნდოდა გაეგო, მართლა მიჯავრდებდა თუ არაო. ხოლო როცა შეიტყო მამის სახეზე კმაყოფილება და შეკავებული ღიმილი, ბავშვი გათამამდა, ენა ამოიღვა და სახეგაბადრულმა დაიწყო:

— შენ რომ დამიძახე — მგელი წამოვიდა, არ აგიცდესო, ამ ჩირგვთან ჩავსაფრდი და მოვემზადე.

ანდრომ ჩემსკენ გადმოიხედა ღიმილით.

— ნუ გამიჯავრდები მამი, — განაგრძო ისევე ბავშვმა, — საგანგებოდ გატენილი ვაზნები რომ გქონდა შენახული, იქიდან სამი

ცალი ავიდე, და როგორც მასწავლიდი ხოლმე, მარცხენა ლულაში უნდა ჩასდო მსხვილი ნადირისთვისო, სწორედ იმ ვაზნებიდან ერთი მედო მარცხენა ლულაში.

ბეჭობის დაბლა რომ ჩამოვიდა მეგლი, სირბილს უკლო. ამ ჩირვას რომ მოაბანა, შენი ყვირილი კიდევ შემომესმა და ძახილზე მეგლი უტეხ შეჩერდა. აი სწორედ მაშინ დაეუმიხვნე შიგ თავში და ვესაროლე. გავარდა თუ არა თოფი, მეგლი მაშინვე გადატრიალდა. ეტყობოდა მეტი აღარ უნდოდა, მაგრამ მეორედ მაინც ვესროლე თავში. შენ ხომ მეტყვი ხოლმე, დაკრილ ნადირზე ვაზნა არ უნდა დაინახო, თორემ გაგეცევაო. მართლა რომ გამეცეოდა, ხომ ვერ დაგაჯერებდიო: შენ და ძია ვასოს, რომ მეგლი დავექერი და გამეცეა-მეთქი. — იმართლებდა თავს პატარა მონადირე, რომ მამა არ გაწყრომოდა ზედმეტი ვაზნის დახარჯვისათვის. მაგრამ მამამისი იმდენი შიშისა და მღელვარების შემდეგ, ამ მოულოდნელი სინარულით ენაჩავარდილივით იდგა და ბავშვის აღტაცებულ ლაპარაკს ისმენდა. იგი დროგამოშვებით ჩემკენ გადმოიხედავდა და თვალს ჩამიკრავდა ხოლმე.

— როგორ დაგიძახე მე, ზურიკო? გაიმეორე ერთი კიდევ.

— როგორ დამიძახე და ასე: — მეგლი წამოვიდა, არ ავიციდესო. — მიუფო ბავშვმა.

— აი, შარი თუ გინდა, ეს არის. ბიჭო, მე მაგას როგორ დაგიძახებდი. მაგრამ ამას თავი დაკანებოთ. ერთი ეს მოთხარი, მეგლი რომ დაინახე, არ შეგეშინდა?

— რატ უნდა შეშინებოდა! ძია ვასოს ბეგრჯერ უთქვამს ჩემთვის: ცრუ მონადირეები აზვიადებენ, თორემ გარეულ ღოჩსა და მეგლსაც ეშინია კაცისა, როგორც კურდღელსო.

— მერე და, შე ცინცრავ, შენ კაცი ხარ? მამის ასეთ შეკითხვაზე ბავშვს გაეღიმა. აღარაფერი უპასუხა, ხოლო გახარებულ მშობელი მივარდა, გულში ჩაიკრა, გრძობით გადაჰკოცნა და შემდეგ ჩასსურჩულა:



სწორედ იმ ვაზნებიდან ერთი მედო მარცხენა ლულაში.

— მართლაც, რომ დღეის შემდეგ კაცი ხარ ჩემთვის. სწორედ უთქვამს ძია ვასოს, შვილო, ნამდვილი კაცისა ყოველგვარ მხეცს ეშინია. შენც ნამდვილი კაცი უნდა იყო მუდამ.

დანარჩენი მკითხველმა უკვე იცის გაზეთიდან, თუ როგორ დააჯილდოვა ზურაბი საქართველოს მონადირეთა კავშირმა საუკეთესო სანადირო თოფით, ან როგორ ჩამოუყვანეს მარნეულის რაიონის ერთ-ერთი მესაქონლეობის ფერმის მუშაკებმა საჩუქრად ერთი ცხვარი მამაც სიონერს იმის გამო, რომ მათი დაუძინებელი მტერი, ალგეთის ჭალებში მოხეტიალე ყველაზე დიდი მეგლი მოჰკლა.

მხოლოდ აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ გაზეთში მოთავსებული ინფორმაციის ავტორი ოდნავ აჭარბებდა: იგი წერდა: „თორმეტი წლის პიონერმა მეგლი მოჰკლაო“. ნამდვილად კი ზურაბი ამ დროს ცამეტი წლისა იყო და მეექვსე კლასის წარჩინებულ მოწაფედ ითვლებოდა.





გიორგი ხუნდაძე

კოემა

მხატვარი ვ. ბელმცბაია

1.

თბილისს შეენის აპრილის თვე,
დილა ფანჯრებს აფერადებს.
ჰა, ქუჩებმა გაიღვიძეს
ჩიტუნების აფრენამდე.
დღემ ქალაქი აამღერა,
გაიღვიძეს ეზოებმაც,
ოქროსფერად დასადვრეალად
მზეს შუქი არ ეოვებო.

როცა დილა გაზაფხულის
სარკმელს ხატავს ათასფერად,
წიგნის ყდაზე დახატული
ჩიტვი იწევს ასაფრენად, —
ამ დროს გოგი გვიან აღგა,
დრო მძინარეს დაუცდილდა?
ჰა, სკოლა და შადრევანი
ატყორცნილი აუწიდან.
ჰა, ჩრდილები ნაცნობ ხეთა,
ფიქრი მათკენ გაუფრინდა...
შენობიდან ტოლები ხმა
მოგავს ზუზუნს საფუტკრიდან.
გაკვეთილი არც დღეს იცის,
არც ხიბლავს ცის შედურჯება,
ნაბიჯს უკლებს შეუმჩნევლად,
თითქოს მუხლიც ეურჩება.

კლასის კარი რომ შეაღოს,
მას ხელებიც ღალატობენ,
ერთადერთი დაპკლებია
მერხებზე მჯდარ თანატოლებს.

გოგი უმწერს კედლის გაზეთს,
თვალი როგორ ააცილოს?
საკუთარი თავი იცნო
დახატული სასაცილოდ.

დღეს პირველად ხედავს თითქოს
გურამიშვილს, გოგებაშვილს,
ბრძენკაცების სურათები
ჩაებეჭდა გონებაში.
გამიცხველი მზერა იგრძნო,
გოგის სახე ეღრუბლება,
მას დასცინეს თითქოს ხიდან
მოკიკიკე ბელურებმაც.

სად წავიდეს? ხეტიალში
ნეტავი რას გამოელის?
რომ იცნობდნენ, გაიცხვავდა
ყველა გამვლელ-გამომვლელი.
უქნარობით თავსვე ავენებს,
სხვებს რა უნდა დაუშავოს!
ვიღარ ამჩნევს, რარიგ ადრე
მიღის მამა სამუშაოდ?
ვიღარ ხედავს—დღეს თბილისში
ხეც ვერა ძლებს გაურჯელად?
მშრომელ კაცის თვალს ახარებს
დილით ზეცის გალურჯება.


მის ადგილას მუყაითი
გზად ამაყად გაივლიდა...
თითქოს გოგის შეპყურებენ
ყველა სახლის აივნინდან.
ისევ სკოლას დაუბრუნდა,
ფიქრებიდან გამოერკვა,
ძანილივით შემოესმა
ნაცნობ ზარის ჩამორეკვა.

2.

ცას ბინდებუნდი აღარ ბურავს,
დღე და ღამე გაიყარა,
მზე დაადგა ფუნთულორის,
მეტეხსა და ნარყილახს.

ავნებს დილის მატარებელს
პიონერთა ფრიაბული.
გორში მიდის პატარების
ექსკურსია მხიარული.
გოგიც არის ტოლებს შორის,
ესმის მათი საუბარი.
უნდა ნახონ ერთად გორი —
უკვდავების საბუდარი.
იკცება ჭავლი ჭავლზე,
მტკვარი მოქუხს ზაპხიდან,
ჰა, ლენინის მონუმენტი
უცბე თვალწინ აეწიდათ.
საცა არის ექსკურსანტებს
მომხიბლავად შემოპლიმებს
მალა, მთაში შემალული
ძველთაძველი შიომღვიმე,
ქართლის ველი — თითქოს მოლი
გაუშლიათ ხალიჩადო...
ვინ იხილოს ქართლში გორი
და თრთოლვა არ განიცადოს!

ჰა, ბელადის სახლის კარი,
მას აროდეს ადგას ბინდი.
თვით სიცოცხლის გზები არი,
აქედან რომ ყველგან მიდის.
ქართლის გულში ვინ არ მოდის—
ახლობელი, შორებელი!
აქ მოსულა ინდოელი,
ჩინელი თუ კორეელი.
აქ მოსულა პოლონელი,
რუმინელი, მადაირი,
შეხვედრია გაშლილ ხელით.
გორის მიწა მაღლიანი.



ყველას, ვისაც სიმართლისთვის აღუთქვია ერთგულება, ეს სახლი დიდ მომავლის მზის წარმომშობად ეგულებოდა.

...ერთ სიტყვას არ კარგავს გოგი მასწავლებლის საუბრიდან, და ბელადის ბავშვობისკენ მას ოცნება გაუფრინდა.

...„მთებზე ეცვათ თოვლის სამოსი, თოვდა გაღმა და გამოღმა. დეკემბრის დილას დალოცვილს მისი სიცოცხლეც ამოჰყვა. ბაღჩაში გაშლილ ნუშივით მისი ბავშვობა აუკვდა. ჩვილს დაშლეროდა გულმშვიდი დედა, დახრილი აკვანთან. მზემ ნისლში გამოიხედა, კლდეებზე სხივი დაკვება, გაიგო გორის ციხეშაც ქოსში დარწვევა აკვნისა. — მოვიდა, ქვეყნად მოვიდა ლატაკთა სადღერძელოდა, ვისაც უხსოვარ ღრთოდან დადებნული ხალხი ელოდა. ხმაც გაისმოდა ქედების გლეხიკაცების დიღინთან, მღეროდნენ გუთნისდღედები და ბანს აძლევდა ღირღიტა. გრძნობდნენ ბაღჩაში ნერგებიც,— სამშობლოს სანაქებოდა დღე ოცდაერთი დეკემბრის რა შუქით განათდებოდა...“ „შებედეთ: სოსის აკვანი იმ დღითვე შუქი მიადაგა.

მისი სიცოცხლის გზა-კვალად დალოცვილია ხიადგა. აართალდა ძკლავა გათალა იგი უბრალო ფიცრიდან. წამოიწვდა პატარა, აკვანში ველარ იცდიდა. ის ამ ქობიდან აფრინდა, როგორც არწივი ბუღიდან. ხალხს გათენებას დაჰპირდა და გზას დაადგა გუღუნხვად“.

... „ნახეთ ეს მცირე ლამპარი... ერთო და იჯდა ბუნართან. ყრმას ამირანის ზღაპარი იმთავიდანვე უყვარდა. ამ ლამპარს ახსოვს, ოცნება მის გულს რა ფრთხილად აღებდა. თვლების გასხივონება მკავდა ანთებულ ნაღვერდალს. მერე ღრმა ფიქრებს ნაჩვევი მდგარა ძველ ციხის ბურჯებთან, ყრმას ამირანის ჯაჭვები თითქოს მაჯებზე უქერდა“. როგორ აღეღებთ პატარებს მისი ცხოვრების ამბავი... „აქვე გაშალა წიგნი და აქვე ისწავლა ანბანი, შეიცნო სიბრძნის სიკეთე, დიდი ცხოვრება იმათი, გულში რომ გამოიკეთეთ ხატება უკვდავ სიმართლის. მასში ანთებულ ოცნებას რა ლამის ფრთა დაჩრდილავდა! უკვდავ წიგნების აზრები წინ წაიმძღვარა ჩირაღდნად“.

„როს იღვიძებდა სისხამზე მიწა ნაოხარ-ნარბევი,— ამ სარკეს ახსოვს მრისხანედ მისი შებრილი წარბები, მზერა ნასროლი ცეცხლივით და სიმსუბუქე ფრინველის, ირიბად გადავარცხნილი მისი ქოჩორი პირველი. სარკეს რამდენჯერ უნახავს მისი ჭკვიანი თვალები, ხან მშვიდი და ხან მღელვარე, როგორც ლიხვის ტალღები“.

„მას იმთავითვე ესმოდა მშრომელის გუღუნტივილი, ფიქრით გასულა ევზოდან, ფიქრს გაჰყოლია ტივივით. უყვარდა ციხე ქებული — ბუღე მეომარ ლომგულთა. ის ბევრჯერ დაღონებულა ცერად ჩანგრეულ ქონგურთან. ერთად წიგნიც და ნამგალიც მკლავს შეეჩვია ყრმობიდან. ახსოვდა კერა ჩამქარალი ამილახვირთან ყმობითა“...

რას მიხვდა გოგი გუმანით, რამ ჩააფიქრა ფერმკრთალი? ეს გაფიქრა უმაღლეს: „ის არ ყოფილა ჩემგვარი. გამრჯე, ჭკვიანი, მართალი, გულმოყვარული ყოფილა, სიმტკიცე, შეუპოვრობა გამოჰყოლია ყრმობიდან. მე კა“... — და გოგიმ უეტერად იგრძნო ფიქრების სიუხვე, თითქოს გულშიაც ჩახედეს, თითქოს ნაფიქრალს მიუხვდნენ.

„აგერ ხელადა, წყაროდან წყალი მოჰქონდა იმითი, მინდვრად ჯეგელი ხარობდა თუ ბიბინებდა სიმინდი. გლიტაკის შველოდა, პურეულს როცა ნახვდა მოუქალს. ყრმამ ამ ხელადით რამდენ კაცს ცხარე წყურვილი მოუქალს! სძულდა ბოროტი ბატონი, ავგულანი, უქნარა, და ბაღლიც ამას ნატრობდა ასრულეობდა მუქარა: ქვეყნის მავნე და ორგული რომ დათრგუნა ბოლომდე, მუხლმოადრეკილი ენახა უსამართლო და ბოროტი.

„ეზარებოდა გულმაგარს ცრუ, მშინარა და ორპირი. მუდამ სილაღე უყვარდა ცაში აფრენილ ორბივით. არსად ყოფილა, შინისგან რომ სახის ფერი ეცვალოს. შავ მერცხალივით ცას კვეთდა იმისი „შავო მერცხალო“.

ნეტავი გოგის თვალებმა მეგობრებს რა დაუმალეს? „მისი გზით უნდა ვიარო“ — გულში გაიგლო უმაღლე-ესროლა ნაპერწკალივით მწერა სტალინის სურათმა. გოგი დამორცხვდა და ბელადს თვალები ვერ გაუმართა.



3.

ბინდი ავსებს გოგის ოთახს, ფეხაკრეფით დადის დედა. სძინავს გოგის, მაგრამ შფოთავს, გასაოცარ სიზმარს ხედავს: ... თითქოს ტყეა მოშრიალე, მოხმაურობს გზა-გზა მტკვარი. გოგი ისევ გორში არის, ჰა, გაიღო ქონის კარი. ის პატარა სოსოს ხედავს, გადმომდგარა რიკულეებზე. ნატრობს გოგი: „სხვებთან, ნეტავ, მეც მეგობრად მიგულებდეს“ მიდის, სოსოს ეუბნება: „მეგობრობა მინდა შენთან, მე თვითნება ბიჭი ვიყავ და მრავალჯერ წყენაც შემხვდა. მიმეგობრე, სიტყვას გაძლევ, წილად არსად მერგოს გმოზა. არასოდეს შევარცხვინო შენი ნღობა, მეგობრობა“. ხედავს, სოსომ გაუღიმა, პასუხი არ დაუყოვნა: „თუ ნამდვილად გაგიზრახავს, ადვილია გზების პოვნა“. „სიტყვას გაძლევ“ — ამბობს გოგი, აღტაცება მის გულს ავსებს.

„სიტყვას მაძლევ? მაშ, წამოდი, მე წაგიყვან ნათელ გზაზე“...

გაედვიძა, ბალიშიდან წამოსწია ნელა თავი. დიდ ჩარჩოდან თვით ბელადი გადმოჰყურებს მამასავით. გაბედულად გოგომ უცებ გაუსწორა ბელადს თვალი და ჩურჩულით მოსწყდა ტუჩებს: —სიტყვას გაძლევ, დიღო სტალინი!

4.

დრო გავიდა. ჰა, მაისიც... — მოდი და ნუ გოცდები — როგორ უცებ მოახლოვდა, საზაფხულო გამოცდები!

სკოლის ბაღში დილის სიო დაფრინავს და დასერიწობს, ყვავილებით მორთულ კლასებს აქვს იერი საზეიმო. ვინ ფიქრობდა, თუ დღეები გოგის ასე გამოცვლიდა. მოღმიარი გამოვიდა უკანასკნელ გამოცდიდან. გრძნობს სიხარულს დიდს და ნათელს, გულში დღემდე გაუღვივარს... მან კედელზე ძვირფას სახეს შეხედა და გაუღიმა. მოეჩვენა, რომ ბელადმა ბავე განსნა შესაქებად, და მოღმიარ გოგის სახეს მანაც ღიმი შეაგება.





კომკავშირელი აგიტატორი ი. დურგლიშვილი (მარჯვნივ) ნაწილის ტანკისტა ერთ ჯგუფს უკითხავს „პრავდის“ ახალ ნომერს.

ერთი მრავალთაგანი

ის იყო ვახშმად დასხდნენ იროდიონი ონიანის ოჯახის წევრები, რომ ამ დროს ეზოში გაბმულად აყეფდა ძაღლი. იროდიონის უფროსმა ვაჟმა მიხეილმა კარი გააღო. მცირე ხნის შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარე კალისტრატე გულბიანი შემოვიდა.

— ვიდრე ინათებდეს, გამანადგურებელი ბატალიონი შეიპარლებული სუნდა გავიდეს გოშგმარის მთისკენ. ბრძოლა მოგველის გერმანელ მზეერავთა ჯგუფთან, — მიმართა მან მიხეილს.

ეს მოხდა 1943 წელს, როცა პიტლერელი ფაშისტები დამპყრობლები სვანეთის მთებში შემოიჭრნენ.

ირიყრაჟა, როცა ლენტეხის რაიონის სოფელ ჩუკულიდან გასულმა ბატალიონმა გოშგმარის კალთებს მიაღწია. გულადმა მეომრებმა უეუაქციეს გერმანელ მზეერავთა ჯგუფი. ბევრმა ფაშისტმა გოშგმარის ნაპარაკებში ჰპოვა საფლავი.

ჩუკულები ამავბდნენ თავიანთი ვაჟკაცებით. ბევრი ლექსით შეთხზა სოფელმა მათზე. განსაკუთრებით იროდიონ გულბიანს ულოცავდნენ მისი შვილის მიხეილს მამაცობას.

მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი იყო იროდიონი ონიანის მეორე ვაჟიშვილი ბუგია — სოფელ ჩუკულის რვაწლიანი სკოლის მესამე კლასის მოსწავლე.

როცა ოჯახში ჩამოვარდებოდა ლაპარაკი მიხეილის ვაჟკაცობაზე, ბუგია თავის გულში ამბობდა: „ოპ, რატომ დიდი არა ვარ, რომ მეც გავსცე პასუხი მტერს!“ ერთხელ ჩააცივდა კიდევ ძმას — ბატალიონში მიმილეთ, იარაღი მომეცით და მეც გამოგყვებით ბრძოლაშიო. მიხეილს ჩაეცინა, ესამოვნა უმცროსი ძმის გულადობა და ალერსიანად უთხრა:

— ჩემო პატარა, შენ ჯერ შაშხანასაც ვერ დასძრავ. აი შენი შაშხანა. — და მიხეილმა ხელი გაიშვირა ბუგიას წიგნებისაკენ.

ბუგია ჩინებულად სწავლობდა, გულადი და საქმეში დაუხარული ბიჭი იყო. მთაში რომ დაღამებოდა, შიში არ მიეკარებოდა, ადიდებულ ცხენისწყალში თონს იბოვიდა და გავიდოდა, ფენმარდ მონადირეს არ ჩამორჩებოდა ჯიხეებისა და არჩეების დევნაში.

გავიდა ხანი. დღეს ბუგია ონიანი საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელოვანი მეომარია. საშუალო სკოლის დამთავრებიდანვე იგი თავდალებით ახორციელებს თავის მოქალაქეობრივ საპატიო მოვალეობას — იცავს ვიბრი საბჭოთა ხალხის შემოქმედებით შრომას. ბუგია ონიანმა წარმატებით დაამთავრა პოლკის სკოლა და მაღალხარისხოვნად დაეუფლა ქვემეხის მემიუნის რთულ პროფესიას. იგი პირველი ყუბბარითვე ამსხერვეს საშიშნოს, მისი ღონი-

ერი მკლავები იოლად იმორჩილებს მრისხანე იარაღის ამწვევ-დამწვევ მექანიზმებს, უმოკლესი დროის განმავლობაში აყენებს ქვემებს მიზანში სასარკოლი მონაცემების მიხედვით, ყოველთვის და ყოველგვარ ვითარებაში შეუძლია შეცვალოს ქვემების მეთაური.

მცირე ხანს გრძელდება ჯარისკაცური საზეიმო აღთქმა სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი უსახვლო ერთგულებაზე, მაგრამ რაოდენი ღელვა, განუმეორებელი გრძობა ახლავს მას თან. საბჭოთა მეომრისათვის დაუფიქრარია სახელოვან მწყობრში, თანამოიარაღებთან ერთად მიღებულ სამხედრო ფიცის წუთები. ბუგია ონიანს კარგად ახსოვს ის დღე, როცა სამშობლოს ერთგულება და თავდადება შეჰფიცა როგორც საბჭოთა არმიის ჯარისკაცმა. მკეპარე ხმით იმეორებდა იგი ფიცის სიტყვებს. სამუდამოდ აღიბეჭდა მეომარ ონიანის შეხსიერებაში მეთაურის სიტყვები, მისგან იარაღის მიღების დროს:

— ჩაიბარეთ ეს იარაღი და დაეუფლეთ მის რთულ მექანიზმს, ბეჯითად ისწავლეთ სამხედრო საქმე. ამ იარაღით დღიცავით სამშობლო, ხალხის მშვიდობიანი შრომა.

საველე მეცადინეობა ახალი დამთავრებული იყო. ბუგია ონიანი ქვემებთან იდგა და ყურადღებით ასუფთავებდა პანორამას. ამ დროს ქვეგანაყოფის ფოსტალიონმა გადასცა მას წერილი.

— სენიტიდანაა, ალბათ სახლიდან გწერენ, — უთხრა ფოსტალიონმა ბუგიას და მეგობრულად შეხედა ტანბრგე შემიხვნეს.

სიხარულისაგან სახეგაბრწყინებულმა არტილერისტმა სწრაფად გახსნა კონვერტი. რაოდენი სიხარულის მათწყებელი იყო ეს წერილი: — უმცროსი ძმა გიორგი საშუალო სკოლას ამთავრებს. ჩუკულში აუშენებიათ ახალი სკოლა, კლუბი და კოლმეურნეობის კანტორა. ლენტეხიდან ზემოსვანეთის სოფელ უშგულამდე ფართო სამანქანო გზა გაუყვანიათ. მამას ახალი სახლი აუგია...

თავისი სიხარული ამხანაგებსაც გაუზიარა ბუგიამ. მერე წერილი დაკეცა და ბეჯითად განაგრძო ქვემების წმენდა.


— დღესვე მისწერე პასუხი მშობლებს. არ დაგავიწყდეს აცნობო მათ, რომ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალი წარმატებისათვის მიღებული გაქვს მეთაურების 15 მაღლობა და საკავშირო ალკაცენტრალური კომიტეტის სიგელი, — თავაზიანად მიმართა ბუგიას ქვემების მეთაურმა ჯემალ გელოვანმა.

— მიგწერ, ამხანაგო მეთაურო, — მკვირცხლად მიუგო ბუგიამ.

თანამოიარაღებს უყვართ მოწინავე არტილერისტი, კომკავშირელი, უმცროსი სერჟანტი ბუგია ონიანი, რადგან იგი კარგი მეომარია, ბეჯითად ეუფლება სამხედრო საქმეს და ზრუნავს ქვეგანაყოფის საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი აღმავლობისათვის. თანამოიარაღებს სურთ უთხრან ბუგიას მშობლებს:

— შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი შვილიო! და მართლაც, ბუგია ონიანი ერთი იმ მრავალ საბჭოთა მეომართაგანია, ვინც იცავს სამშობლოს, ხალხის მშვიდობიან შრომას.

ქ. მუსხი



სამეგრის ბრძოლა



შოთა ძაგაშვილი

მოთხრობა

მხატვარი ს. მაისაშვილი

გაოფლიანებული ცხენი მოადგა ქალაქ მცხეთის კარს.

— ვინ მოდის? — გაისმა გალავნის შიგნიდან რიხიანი ხმა.

— შიკრიკი სპარსეთიდან! — იყო პასუხი.

გოლიათური ტანის ორმა მხედარმა შიკრიკს კარი გაუღო და ერთი მათგანი მოსულს წინ წაუძღვა. სასახლესთან გუშაგმა შიკრიკი ეზოს მოძღვარს ჩააბარა და თვითონ დაუყოვნებლივ უკანვე გაბრუნდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ შიკრიკი ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასალის წინაშე წარსდგა. ვახტანგის პირველ შეხედვისთანავე შიკრიკი მოსული და სპარსული ცერემონიით მდაბლად დაუქრა თავი. შემდეგ ვრცელი მისასალმებელი სიტყვით შაჰი კოვადის უსტარი გადასცა წარჩინებულს, რომელმაც მეფის ბრძანებით აუჩქარებლად გაშალა გრაგნილი და წყნარად, თითქოს გალობით, იწყო კითხვა.

სანამ წარჩინებული წერილს კითხულობდა, შიკრიკი თვალს ვერ აშორებდა მეფის ვაჟკაცურ სახეს. „ეფიცავ შაჰის ბრწყინვალეობას, რომ ჯერ ასეთი ადამიანის მნახველი არა ვარ. — ფიქრობდა იგი და თან ცბიერად ისვამდა ხელს ინით შეღებილ წვერზე. — ამას მართლაც შეეძლება გაქცეულ ირემს წამოეწიოს და რქებით შეიპყროს იგი. არც თუ ის გაუჭირდება, რომ შეჭურვილი ცხენი მხრებით აიყვანოს მცხეთიდან არმაზის ციხეში“.

ვახტანგი, ღრმად ჩაფიქრებული, დინჯად ისმენდა წერილის შინაარსს. მხოლოდ ზოგიერთი თავგასული სიტყვა თუ შესძრავდა ხანდახან მის მოშვილდულ წარბებს.

სპარსეთის შაჰი ხოსრო კოვადი ქართველთა მეფეს ყმას უწოდებდა. იგი

უბრძანებდა გორგასალს, როგორც ერთგულ მონას, ხარკი ეძლია სპარსეთისათვის; უბრძანებდა დაეგმო ქრისტიანობა, როგორც თვით მას. ისე მთელ ქართველ ხალხს, და სრული ძლიერებით აღედგინა ცეცხლთაყვანისმცემლობა. შაჰი ვახტანგ მეფეს მოაგონებდა ქართლის პიტიახშის ვარქსენ არშუშაის ძის მკვლელობას, რომელმაც მიიღო მანდიანობა და თავის ცოლს შუშანიკს ვერ დააგზობინა რა ქრისტიანობა, წამებით მოკლა იგი. დასასრულ ყველაფრის პატიებას პპირდებოდა მეფეს, თუ იგი თავისი ჯარით ერთგულად დაეხმარებოდა შაჰს ქრისტიან რომაელებთან ბრძოლაში.

— არა და არა! — მეხვიით დასქევა გორგასალმა და მისმა თვლებმა ელვასავით განათეს, როცა წარჩინებულმა კითხვა დაამთავრა. სპარსული შიკრიკი ვერხვის ფოთოლივით ათრთოლდა და მეფეს ინსტინქტურად მდაბლად დაუქრა თავი.

ვახტანგმა მარჯვენა ხელის თითები მომუჭა და გოგრის ოღენა მჯილი შიკრიკის დასანახავად ნელა დაუშვა ტაბლაზე.

— აი, ეს არის პასუხი, ხოსრო კოვადის მიმართ: თითების ერთობა ქრისტიანთა ერთობაა და როგორც ეს თითები ერთმანეთს არ უღალატებენ, არც ჩვენ შევრცხვებით ერთმორწმუნე რომაელთა ერთგულებაში!

— ნუ გაიწყდებთ, თქვენო ბრწყინვალეებო, რომ რომაელებმა ერთნაირად იციან მხარდაჭერაც და დლატიც. — სცადა სპარსელმა საქმის მოგვარება, მაგრამ მეფემ შეაწყვეტინა:

— კმარა! უკეთუ მათ გვიღალატეს, სინდისის წინაშე მაინც მართლად ვიქნებით. ქართველი ხალხი და მისი მეფე არასოდეს არ იქნებიან სპარსეთის მონა! — ამ სიტყვებით

მან სკიბტრა მალლა ასწია, რაც თათბირის
დამთავრებას ნიშნავდა.

შიკრიკმა ვახტანგის თორმეტი მტკავლის
სივრცე ტანს და მის ვაჟეცყურ სახეს უკანას-
კნელად მიანათა თავისი მბეჭეტავი თვალთა
სხივი და გაწბილებული უხმოდ გამობრუნდა.

მალე რახუნით დაიკეტა ქალაქის კარი
სპარსელის ზურგს უკან.

ვახტანგმა კარგად იცოდა, ხოსრო კოვადი-
სათვის უარის თქმა რასაც მოასწავებდა, ამი-
ტომ სასწრაფოდ დაგზავნა შიკრიკები დაბა-
სოფლებში, ხალხი მოსალოდნელ უბედურე-
ბაზე გაათრთილა და საომარი მზადყოფნი-
სათვის მოუწვოდა.

მეფის პირველ მოწოდებისთანავე, ხალხი
ფეხზე დადგა, მამაკაცებმა ფარ-ხნალი აისხეს
და სამშობლოს დასაცავად მეფეს გვერდში
ამოუდგნენ, ხოლო ვისაც ბრძოლის უნარი
არ შესწევდა, მათ ტყვეებსა და ციხე-სიმაგ-
რებს შეაფარეს თავი.

გადააჯგუფა რა ჯარი, ვახტანგ მეფე თა-
ვისი ლაშქრით საქართველოს საზღვრებისა-
კენ დაიძრა.

მაგრამ შაჰს ფარული ზრახვების შესასრუ-
ლებლად მუდამ მზად ჰყავდა ფრიცხვი
მხედრობა, და როდესაც საქართველოდან
შიკრიკი გაწბილებული დაბრუნდა, გაბრაზე-
ბული ხოსრო კოვადი, ქართველებზე შეიდ-
ჯერ მეტი მეთომრით, განჯის მხრიდან კა-
ხეთს გადმოვიდა და კალიასავით მოელო
მშვიდობიან სოფლებს.


ქართველთა მოწინავე რაზმებმა ვერ შეაქა-
ვეს მტერი. ამ გარემოებამ ვერ შეაშინა ვახ-

ტანგ მეფე. მან უკან დაიხია და ქალაქ დაო-
ფაკის გასწვრივ იორის ველზე გამაგრდა.

მთელი დამე ლული არ მიჰკარებია ვახტან-
გის თვალს. კარზე მომდგარი მტერი ფრი-
ად სახიფათო იყო. შაჰი კოვადი ფეხდაფეხ
მოსდევდა უკანდახეულ ქართველებს. მან
გზადგზა შემუსრა ქიხიის ქალაქები, აიღო
ქერმისა და ველის ციხეები და ივრის ხეო-
ბამდე მიიღწია.

ვახტანგ მეფისა და მისი ერთგული ერის-
თაების გეგმით, დამით, მამლის მეორე ყი-
ვილზე, ქართველებს მტერზე პირდაპირ
იერიში უნდა მიეტანათ დარდაყის ველზე,
რათა სპარსელებს თბილისისაკენ გაქრის
საშუალება არ მისცემოდათ, სადაც ახლად
აშენებულ ქალაქს საძირკვლის დუღაბი ჯე-
რაც არ გამაგრებოდა.

გარიერაყისას ახმაურდა ქართველთა ბანა-
კი, ბუჟ-დაფდაფის ხმას შეუერთდა აბჯარ-
თა ჩხრიალი. მოიდრიკენ თორმეტმტკავე-
ლიანი მშვილდები, აელვარდნენ ქარქაშიდან
ამოღებული ხმლები, აიმართნენ საომრად
შუბები. ბრძოლისათვის მზადყოფ მხედ-



შიკრიკი ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასალის წინაშე წარსდგა.



რობას ვახტანგ მეფემ ცეცხლოვანი თვალებით ჩამოუარა და როდესაც კარგად შეამოწმა მათი შეჭურვილობა, შემდეგი სიტყვებით მიმართა ჯარს: „ყოველი თქვენგანი, რომელიც სიკვდილს გადაურჩება და ჩვენი მტრის მოკვებით თავს ან სხელს არ გამოიტანს, შერაცხვნილი იყოს!“

— ამინ! — დაიგრავინა ჯარმა, რომლისთვისაც მტრისთვის ზურგის შექცევა უცხო იყო.

აწრიალდა მტრის ბანაკიც, შემოდგომის ნისლიან ალიონზე ოდნავ მოჩანდა ივრის ვაღმა მბუტუავი კოცონები, რომელთა გარშემოც მოგვთამოგვების მეთაურობით პირაკრული სპარსელები ველური ცერემონიით ცეცხლს თავგანსა სცემდნენ. მოგვებს ჯერ თავიანთი ლოცვა არ დეთავებინათ, რომ ქართველთა ექვსმეტყველიანი ისრები სეტყვასავით დაეყარათ თავზე, რასაც მოჰყვა ვახტანგ გორგასალის ცხენოსანთა თვდასხმა.

ურიცხვი მხედრობა გამძაფრებით ეკვეთა ერთურთს. ატყდა საზარელი ხმაური. დაჭრილებს ცხენები ფლოკვებით თელავდნენ. ისმოდა კენესა, მულარა, ლანძღვა-გინება და გამამხნეველები შეძახილები.

უთანასწორო ბრძოლას შეჩვეული ქართველები გულდაგულ უტევდნენ მტრის მრავალრიცხოვან ლაშქარს. ვახტანგ მეფე ელვის უსწრაფესად ჩნდებოდა იქ, სადაც ქართველ ჯარს გაუჭირდებოდა, და გოლიათური ვაჟაკობით სპარსელებს ისე მუსრადავ, როგორც გაატორებულნი ლომი კანჯართა ჯოგს.

მტრებმა კარგად შესწავლეს გორგასალის ჩაჩქანი, რომლის წინა მხარეს გამოხატულ იყო მეფის, ხოლო უკან — ლომი. და როდესაც მას თვალს მოაკრავდნენ, ერთმანეთს სასოწარკვეთილი ხმით აფრთხილებდნენ: „დღურ აზ გორგასალ!“ („მოერიდეთ მგლის თავს“).

სისხლისმღვრელმა ბრძოლამ ორ დღეს გასტანა. ომმა მსხვერპლი შეიწირა ორივე მხრიდან. წითლად შეიღება იორი, მაგრამ გამარჯვება საბოლოოდ ვერც ერთმა მხარემ ვერ დაიმკვიდრა. ვახტანგ მეფეს ამ ბრძოლაში მხოლოდ ერთგან, ილიის ქვეშ გაერღვა აბჯარი.

შუალამე გადასული იქნებოდა. ღამის წყვილიაღმა დროდადრო გაისმოდა გუშაგების გამაფრთხილებელი ძახილი. ქართველთა მხრიდან ერთმა ლანდმა ფრთხილად გაარღვია ელზე ჩამოწოლილი სიბნელე, სპარსელ გუშაგებს რაღაც უთხრა და გზა განაგრძო. მალე იგი სპარსელთა შუა ბანაკში მდებარე ხოსრო კოვალის

შვილის ბარტამის კარავს მიაღდა. ცოტა ხნით შეჩერდა, შემდეგ დაუყუთხავად, მაგრამ დიდი სიფრთხილით შიგ შექცრა.

სტუმრის დანახვაზე ბარტამი ფიქრებიდან გამოერკვა და მოსულის მხიარული სახით დასაჯდომ ადგილზე მიუთითა.

— დაჯექი, გურჯო, და მიპასუხე მხოლოდ საქმეზე.

— ბატონო ჩემო, როგორც მოგესხენებით, მართალია, მე გურჯი ვარ, ვახტანგს ვემსახურები, მაგრამ ცეცხლთაყვანისმცემლობას საიდუმლოდ ვატარებ გულში. დიდმა პოეტმა ვარქსენ არშუშაის ძემ შემაყვარა ცეცხლისა და შაჰის პატივი.

— კარგია, მაგრამ მაგანე მერე ვისაუბროთ. ახლა საქმეზე მელაპარაკე. შენ იცი თვითონ, ქართველთა მარცხი გარდუვალია. ჩვენს ზღვა მხედრობას ვერ გაუძღვს მათი სიმძირე. გურჯთა სიამაყე და საოცარი ბრძოლუნარიანობა მალე ჩაქრება. ხომ ნახე, როგორ გადაუდგენენ სამხეთის სპანი. ვახტანგს ჰუნებმაც უარი უთხრეს დანხარებაზე. დიდი მოკავშირე ერთმორწმუნე რომიც, ხედავ, არ ეხმარება. — ამ სიტყვებზე შაჰის ვაჟმა გამოცდილი თვალით სტუმარი იღუმის აწონ-გაზომა. — შენ და შენისთანები, — განაჯიო მან, — დაჩეხიან ჩვენთან ერთად გამარჯვებულნი. პირობის შესრულებისათვის ჩვენგან მიიღებ ოქროს, მამულს, სიმდიდრეს, ხარისხს...

ბარტამის გესლმა მალამოსავით იმოქმედა სულდაცემულზე. სტუმარმა ცბიერი თვალებით ქურდულად მოსინჯა ნახევრად ბნელი კარავი და შემდეგ თითქმის ჩურჩულით თქვა:

— ვახტანგის მოკვლა თითქოს განგებამ მარგუნა თავად... გუშინდელ ბრძოლაში მისი აბჯარი ილიის ქვეშ გაირღვა მცირედ... — აღარ დამთავრა აზრი და მოკუტულ თვალები ცბიერი ღიმილით შეანათა მოწყალე ბატონს.

გაქნილი ბარტამი მიუხედავად ზრახვებს და არ დააყოვნა:

— ისე იმოქმედე, როგორც სჯობდეს. აი, ისარი შხამში ნაპოხი. ოღონდ ფრთხილად იყავი, გულში დალატი არ შეგამჩნიონ, თორემ ოქროსთან ერთად თავსაც დაკარგავ.

მოისაუბრეს ტკბილად. შეთანხმდნენ. ვერცხლის თასებით შესვეს შარბათიც. შეზარხოშებული ბარტამი რბილ მუთაქაზე გადაწვა და მომავალი გამარჯვების იმედით სასიამოვნო ფიქრებს მიეცა. მას გაახსენდა ბერძნებთან ახლანან გადახდილი ომი, როცა მან თავის მამასაც კი აჯობა, შინაგამ-



მოხდა სისხლისმღვრელი, უთანასწორო შეტაკება...

ცემლობით და მოსყიდვით პირველმა შემუსრა ციხე-ქალაქი ამიდა. ახლაც ასეთი გამარჯვების ილუზიები ეხატებოდა ბარტამს.

— დიდო ბატონო, — აკანკალებული ხმით მოახსენა სტუმარმა, — დროა დავბრუნდეთ ქართველთა ბანაკში. — ბარტამიც აჩქარდა, — რიყრაყი კარს მომდგარიყო, დაგვიანება კი მოლაღატისათვის საბედისწერო იქნებოდა.

მასპინძელმა ხონჯართან მიკრული პატარა ქისა მოიხსნა და სტუმარს მიუგდო.

— ჯერ ეს იკმარე, დანაპირებს შერე მიიღებ. ახლა კი წადი, გვარადეცს ცეცხლი მზისა და მთვარისა.

მოსყიდულმა უმალ უბემში იკრა ოქროებით გატენილი ქისა და ის იყო წასვლას აპირებდა, რომ ამ დროს გარეთ საშინელი განგაში ატყდა...

ქართველები უთენია იერიშზე გადმოსულიყვნენ.

მოხდა სისხლისმღვრელი, უთანასწორო შეტაკება. ლითონის ქრიალი თანდათან უახლოვდებოდა შაჰის ცენტრალურ კარავს. მოულოდნელი თავდასხმით შეშფოთებულმა ბარტამმა აღარ იცოდა რა ემოქმედა. ვახტანგ მეფის მოლაღატე ანგარიშმოუცემლად ასკდებოდა კარვის კედლებს, გარეთ გასვლას ვერ ბედავდა. კარგად იცოდა, რომ თავგზაბანეული სპარსელები პირველ დანახვისთანავე მოჰკლავდნენ მას, როგორც უტყბოს. ვინაობის გამოკვლევის დრო კი არავის ჰქონდა. დარჩეს კარავში და ვაითუ აქ ქართველთა ხმალი მოსწვდეს. გამოწყლავდებოდა მი-

სი მუხანათობა. აბჯროსანი რომ ყოფილიყო, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ქართველებს ბრძოლის მონაწილედ მიეჩნიათ, მაგრამ მას აბჯარი არ ეცვა, — აბჯრის ჩხრიალით თავის ბანაკიდან გამოპარვა არც თუ ისე ადვილი იქნებოდა.

ბრძოლის ქარცეცხლმა შაჰის ჭრელი კარავიც შეარხია. ვახტანგის ცხენმა ერთი კამარა კიდევ გააქეთა და შაჰი კოვადის კარავს ჯიქურ მიაღდა, მაგრამ თვით შაჰმა ერთი ნაბიჯით გაასწრო მეფეს.

ახლა კი ვარკვევით შეესმა ბარტამს თავისიანთა გაფრთხილება: „დღურ აზ გორგასალ“, მაგრამ გაფრთხილება გვიანდა იყო. აბრეშუმის კარავი ვახტანგის შუბის წვერმა გახია და ელვის სისწრაფით მოძებნა მსხვერპლი. ვახტანგ მეფემ მკერდზე შუბმიბჯენილ ბარტამს ხმლის ერთი მოქნევით წააცალა თავი.

სწორედ ამ დროს კარავის კუთხიდან გაისისინა შხამიანმა ისარმა და მეფეს ილიის ქვეშ გარღვეულ აბჯარში ჩაერჭო.

მთა კაცი მხოლოდ მაშინ შეკრთა, როცა კუთხეში მიმალული თავისი მონასპა შეიცნო. მოლაღატემ კარვის კალთა გაჭრა და როცა გარეთ გაძვრა, სცადა მეფის დაჭრის განმეინება, მაგრამ ვახტანგმა არ აცალა მუხთალს ზემი: ღონე მოიკრიბა და ყალყზე შემდგარი ცხენი ზედ დაანარცხა საზიზღარ მონას.

გორგასალს უკვე აღარ შეეძლო მტერს დასდევნებოდა, — ისრის წვერს ფილტვამდე მიედწია. დაჭრილ მეფეს მალე მიეშველნენ ერისთავები. რა ნახეს იგი ღრმად დაკოდი-



ლი, გადაწყვიტეს ბრძოლის შეწყვეტა, მაგრამ ვახტანგმა უბრძანა სარდლებს დადგენებოდნენ დამფრთხალ მტერს და სთხოვა ლაშქარში არ დაერხიათ მისი დაჭრის აზრები.

ბრძოლა გაგრძელდა...

სისხლისმღვრელმა ბრძოლამ შუადღემდე გასტანა. დამარცხებულმა მტერმა პირი იბრუნა და რუსთავისაკენ დაიხია. უკან დახვევისას მან მოაოხრა და მიწასთან გაასწორა ტურემა მიდამოები.

აუარებელი ნადავლი დარჩათ ქართველებს, მაგრამ ეს მათ არაფრად უღიროდათ, რაკი მეფე სასიკვდილოდ იყო დაჭრილი.

მძიმედ დაკოდილი გმირი მეფე ერისთავებმა უჯარმის ციხეში წაიყვანეს. აქ ავადმყოფი დოსტაქარმა გასინჯა, მაგრამ სანუგეშო ვერა თქვა რა.

მეფე სდუმდა. მძიმე სუნთქვა ისმოდა მხოლოდ. დიდებულები დამწუხრებულნი დაჰყურებდნენ სულთმობრძავ მეფეს. მიმქრალიყო გორგასალის არწივისებური თვალები. მოჭრილ მუხსასავით მიწოდილიყო მისი გოლიათური ტანი...

უცბათ შეინძრა სიკვდილთან შერკინებულ მეფე, მკლავები გაშალა და წამოიწია. წამოაყენეს. გორგასალმა ჯერ იქ მყოფთ გადაავლო თვალი და მერე ციხის ვიწრო სარკმელში გაიხედა. ნიაჟმა ღონე შეჰმატა ავადმყოფს, გამოცოცხლდნენ მიმქრალი თვალებიც, რომლებიც უკანასკნელად უცქერდნენ სამშობლო მხარეს.

ივრის ველზე 28 ათასი ქართველი ვაჟკაცის გაციებული სხეულისაგან სამი გორა აღმართულიყო, რომელთაც ხუთჯერ მეტი მტერი გაეყოლებინათ თან. სიცოცხლის ნიშანწყალი გაჰქრობოდათ თვალუწყდენელ ბალ-ვენახებს. ბარაქიან ველს ტრუსის სუნნი

ასდიოდა. მოშლილიყო სარწყავი არხები, სადღაც შორს, სამხრეთისაკენ იწვოდნენ ბოსტანები—ტანქალაქი—რუსთავი. შავი კვამლი მორევით ტრიალებდა ცაში.

იწვოდა ვახტანგ მეფის გულიც.

— ვაგლახ, ჩემო ტკბილო მამულო... — ამოიოხრა მეფემ და მის თვალებს წყვილი მარგალიტი დაეკიდა.

— ნუ ინადვლებთ, დიღო მეფეო, ჩვენი სამშობლო კვლავ აღდგება! — გაამხნევეს დიდებულებმა.

— მეგერა ჩემი მამულის უკვდავება. იგი მუხსაა მუხლმაგარი, მტერი კი—მუმი, — წარმოთქვა ვახტანგმა და ღონემიხილა კვლავ მიწვა.

მას შემდეგ თხუთმეტმა საუკუნემ განვილო.

საუკუნე საუკუნეს მისდევდა, თაობა თაობას ცვლიდა, მაგრამ მარადეამს გარეშე და შინაურ მტრებთან თავისუფლებისათვის შებრძოლმა ქართველმა ხალხმა სამგორის აყვავება და ბოსტანქალაქის აღორძინება ვერ მოახერხა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა ეს შესაძლებელი. კვლავ გაჩაღდა ბრძოლა სამგორის ველზე, კვლავ კვამლის ბულულები დატრიალდა რუსთავის თავზე, მაგრამ სამხრეთის შავი კვამლი დღეს ბოსტანქალაქის დაქცევის ნიშანი კი არ არის, პირიქით, მისი დიდი სიცოცხლის მათუწყებელია. რუსთავის თავზე აქოჩრილი კვამლი ქართული ფოლადის დაბადების მახარობელია, ხოლო სამგორის ველზე არხისათვის წარმოებულ აფეთქებებით აზიდული მიწის რუხი ბორცვები უდაბნოს წალკოტად შეცვლის საწინდარია.





3. პორნეკი

ამოცურდა ლაყვარდ ზღვიდან
ოქროსფერი მზე...
მივიმღერით გორისაკენ,
გული ლალად ძვერს.

ამ უცნობი გზა და კვალით
არ გვივლია ჯერ,
მაგრამ სულ წინ მივიჩქარით,
მივდევთ მთებს და სერს.

ყველაფერი უნდა ენახოთ,
ჩავიბეჭდოთ ღრმად:
აქ ხომ ჩვენდა საამაყოლ
იზრდებოდა ყრმა...

გადაეხედოთ მიმოკლავნილ
ბილიკებს და გზებს,
გაეუღიბოთ, გორის სარკმლით,
ამომავალ მზეს.

ამ მშვიდ სახლზე მშობლიური
განა არის სხვა?
აგერ, ფოთოლთ შარიშური —
სიყმაწვილის ხმა.

მზე შინა და მზე გარეთა
სხივებს უხვად ფენს...
ჩვენი მამის ყრმობის კერაც;
გამარჯვება შენ!

თარგმანი 3. ბაიბიხა

ჩემს მასწავლებელს

წარვიდნენ წლები, გაფრინდნენ წლები.
აღმზრდელი ჩემო, არ გავიწყდები?

ეს მე ვარ, ვისაც ოცი წლის წინათ
ანბანს უხსნიდი ვით გულთმისანი,
გახსოვს, მაჩუქე ღიმილი წმიდა,
წიგნში ლენინი როცა ვიცანი?

გახსოვს, მასწავლე ლენინზე თქმული
დიდი სტალინის სიტყვები ბრძნული?

წამოიზარდნენ ჩემი ტოლები,
ჩვენი უბნები გავინაწილეთ.
რა სიხარულით, რა ათრთოლებით
ვიგონებ ახლა ამ სიყმაწვილეს!

ლენინურ სიბრძნით კვლავ ზრდი პატარებს
და დღეს... ლენინის ორდენს ატარებ.

ნუგა ბეკუაევა



სკოლის ექიმი

იყო დრო, როდესაც ათასობით მშრომელი იღუპებოდა სამედიცინო დახმარების გარეშე, როდესაც მთელ რაიონში ორ სამ სოფელს თუ ჰყავდა ექიმი. იმ დროს თქვენ არ მოსწრებინართ, ბავშვებო. თქვენ დაიბადეთ და იზრდებით სამშობლო ეპოქაში, თქვენ ხედავთ და იცით, რომ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით გარემოცულია ჩვენი თვალმოუწვდომელი სოციალისტური სამშობლოს მრავალმილიონიანი მშრომელი ხალხი. უძვირფასესი კაპიტალის — ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში დგას სამედიცინო პერსონალის ასიათასიანი არმია. მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან საავადმყოფოები და პოლიკლინიკები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სანატორიუმები, სამკურნალო დაწესებულებები. ყველა მსხვილ წარმოება-დაწესებულებასთან არის სამედიცინო პუნქტი. სკოლასაც ჰყავს თავისი ექიმი, რომელიც მოწოდებულია სანიმუშოდ დააყენოს ჰიგიენის დაცვის საქმე სკოლაში, იზრუნოს ბავშვთა ჯანმრთელობისათვის.



დიფთერიის, ყვავილისა და სხვა დაავადებათა წინააღმდეგ.

მეც წილად მხვდა ბედნიერება ვემსახურო ამ კეთილშობილურ საქმეს—ვიყო სკოლის ექიმი.

ჩვენი სკოლის საექიმო კაბინეტი ბევრ მოსწავლეს ემსახურება. სკოლაში ორცვლანი სწავლება. ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე შეუდგა ჩვენი კაბინეტი საზაფხულო არდადეგების შემდეგ სკოლაში დაბრუნებულ მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების საკითხების შესწავლას. განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება პირველკლასელებზე — ჩვენს პატარა ძვირფას ახალ სტუმრებზე. ვესაუბრეთ მათ მშობლებს, შემდეგ საექიმო შემოწმება გაიარა სკოლის ყველა მოსწავლემ. განსაკუთრებულ აღრიცხვაზე გვყავს აყვანილი ფიზიკურად შედარებით სუსტი ბავშვები, ასეთები კი, საბედნიეროდ, ცოტაა. მათგან მეტი ნაწილი, მშობლებთან თანამოქმედებით, ბავშვთა პოლიკლინიკისა და სამკურნალო დაწესებულებების დახმარებით გამოკვანასაღეთ.

სამკურნალო დაწესებულებათა კონსულტანტებთან ერთად ჩვენი სკოლის მოსწავლეებს ჩავუტარეთ დაკვირვება-გამოკვლევა ჭია-პარაზიტებზე, მალარიაზე, ადგილობრივ მოვანდინეთ მოსწავლეთა გულ-მკერდის გაშუქება. ამის შემდეგ ავუცერით ბავშვებს

დიფთერიის, ყვავილისა და სხვა დაავადებათა წინააღმდეგ.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებაში გვეხმარებიან თვით სკოლის მოსწავლეები. ისინი საინტერესო ინიციატივას იჩენენ. ყოველ კლასში ჩამოყალიბებულია სანიტარული რგოლი. ეს რგოლები გვეხმარებიან ბავშვთა ჯანმრთელობის შემოწმებაში, კლასებში იცავენ სისუფთავეს, კონტროლს უწევენ მოსწავლეთა პირად ჰიგიენას, გვატყობინებენ, თუ მოსწავლე ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა სკოლაში.

პიონერები გელა ჩარკვიანი, ნუგზარ ახვლედიანი, ლევან კალანდაძე და სხვები მონაწილეობას იღებენ სკოლის სამედიცინო „ბიულეტენის“ გაფორმება-გამოშვებაში, აქვეყნებენ მასში წერილებსა და ფოტოსურათებს.

ექიმის ლექცია-საუბრებს ინტერესით ესწრებიან და უსმენენ მოსწავლეები.

გული ხალისით გვესებათ, როცა ჩვენი სკოლის ნათელ, ფართო, სუფთა საკლასო ოთახებში შედისართ, როცა დერეფნებში გაივლით, კაბინეტებსა და ლაბორატორიებს ნახათ, სიცოცხლით სავსე ბავშვების ყრია-მული გესმით.

ჩვენს სკოლაშიაც იზრდებიან ლენინ-სტალინის პარტიის მზრუნველობით გარემოცული, ჯანსაღი წარმომადგენლები ბედნიერი ნორჩი თაობისა.

ნ. მამასაჰვილი.

თბილისის ვაჟთა 1-ლი საშუალო სკოლის ექიმი.

ეყენი კოტონი

დღეს ყველა პატიოსანი ადამიანის უკეთილშობილენი მოვალეობაა მშვიდობისათვის ბრძოლა.

ოქვენთვის უფრო ნათელი რომ გახდეს მშვიდობისათვის ბრძოლის მნიშვნელობა, მოგაგონებთ იმ უბედურებას, რაც მეორე მსოფლიო ომმა თავს მოახვია კაცობრიობას.

მეორე მსოფლიო ომის უსაშინელესი შედეგები ეს არის:

- 32 მილიონი მოკლული ჯარისკაცი;
- დაბომბვისაგან დაღუპული 15-დან 25 მილიონამდე მშვიდობიანი მოქალაქე;
- საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპული 26 მილიონი ადამიანი;
- 29,5 მილიონი დაქრილი და დასახინრებული;
- 21 მილიონ 245 ათასი ადამიანი, მოკლული ქონებასა და საარსებო წყაროს;
- 30 მილიონი მთლიანად დანგრეული საცხოვრებელი ბინა;

1 მილიონი უღედამაო ბავშვი.
ზარალის საერთო ღირებულება: 375 მილიარდი ოქროს დოლარი (ე. ი. 325 ათასი მილიარდი ფრანკი — მაჟერ მეთ, ვიდრე 1914-1918 წლების ომისაგან მოყენებული ზარალის ღირებულება).

მაგრამ კაცობრიობის ამ უმაგალითო უბედურებას გარეშე დვანან ერთი მუტა მონოპოლისტები, რომლებმაც ჯიბე გასქილეს ომის პერიოდში. უბრალო ცოფრებით ვერც გამოიხატება ის მოგება, რაც ადამიანთა გასაუღლები იარაღის წარმოებისაგან მიიღეს ინგლისელ-ამერიკელმა კაპიტალისტებმა—სხვადასხვა ტრესტების, ბანკების მფლობელებმა.

ადამიანთა მასობრივი უღეტის ხარჯზე გასუქებას მიჩვეულმა ბარბაროსებმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დღიდანვე იწყეს ინტენსიური ბრძოლა ახალი ომის განადგობისათვის, იწყეს კაცობრიობის განადგურებისა და მოსპობის ახალი საშუალებების — ატომური ყუმბარების—მასობრივი დამზადება. ატომური ყუმბარების დამამზადებელმა მსხვილმა ამერიკულმა ტრესტებმა მარტო 1949 წელს 500 მილიონი დოლარი მიიღეს. აქედან ცხადია, თუ რა ინტერესით ისწრაფვიან ადამიანთა სისხლით გაუმძღარი ყველა ტიპის მესაიები და აგენტები ამ ტრესტებისა—განაგრძონ ატომური ყუმბარების დამზადება.

და განა მარტო ატომურ ყუმბარებს—კაცობრიობის მიერ ყოველდღე შექმნილის ბრმად და ბარბაროსულად გამანადგურებელ იარაღს გვირგვინიან ინგლისელ-ამერიკელი მონოპოლისტები! ისინი გვიმზადებენ წყალბადის ყუმბარებსა და ბაქტერიოლოგიურ ომს. ეს ისეთი იარაღებია, რომლებიც სპობენ მხოლოდ ადამიანებს და დაუზიანებლად სტოვებენ შენობებს. ასე სურთ მათ გაათანაბრონ ადამიანები თავებთან.

მაგრამ ეს ბარბაროსები თვითვე ითბრან თავიანთთვის საფლავს. პროგრესული კაცობრიობა არ მისცემს კაპიტალისტებს იმის საშუალებას, რომ კვლავ თავს მოგვახვიონ ახალი საშინელი ომი, დაკვიბოლონ ბავშ-



ეყენი კოტონი

ვები, მოსპონ ადამიანები. ერთ მუტა ომისგამჩალებეთა წინააღმდეგ მიმართულია მთელი მსოფლიოს მილიონობით კეთილი ნების ადამიანთა ბრძოლა მშვიდობისათვის.

მშვიდობისათვის მებრძოლთა ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანია ეყენი კოტონი.

ვინ არის ეყენი კოტონი? — იგი ცნობილი ფრანგი მეცნიერი ქალაი. ეყენი კოტონი თავმჯდომარეობს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას, რომელიც 61 ქვეყნის 91 მილიონ ქალს აერთიანებს; ის აგრეთვე საფრანგეთის ქალთა კავშირის თავმჯდომარეა, სეგრის (საფრანგეთი) ნორმალური სკოლის საპატიო დირექტორი. 1951 წელს ეყენი კოტონს მინიჭა საერთაშორისო სტალინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

ეყენი კოტონს (ფიციტის) ამას წინათ 70 წელი უფსრულდა. მან ჯერ კიდევ სეგრის (საფრანგეთი) პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლისას გამოამუშავა სამეცნიერო მუშაობისადმი მიდრეკილება. კოტონის ეს ნიჭი თავიდანვე შენიშნა მისმა მასწავლებელმა, მეცნიერმა მარია კიური-სკლოდოვსკაიამ, დედამ შემდგომ ცნობილი მეცნიერი ქალის ირენ ჟოლიო-კიურისა, რომელიც გამოჩენილი ფრანგი ფიზიკოსის, მშვიდობის დაცვის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის მეუღლეა.

მარია კიური-სკლოდოვსკაის ნამდვილი დედობრივი ამაგი მიუძღვის ეყენი კოტონის წინაშე. სამშობლოს პატივითი და ადამიანთა კეთილდღეობისათვის დაუღალავი მებრძოლი მეცნიერი ქალი ცდილობდა მეცნიერი გამხდარიყო რაც შეიძლება მეტი მისი მოწაფე. და მარია კიური-სკლოდოვსკაიც ყოველმხრივ ხელს უწყობდა სტუდენტ ეყენი კოტონს, რომ წარმატებით დაემთავრებინა ინსტიტუტი და შემდეგ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას შესდგომოდა.



მინოს ბოჭკო

ირენ უოლიო-კიური იგონებს, თუ რარიგ უყვარდა მის ღედას ნიკიერი სტუდენტი ქალიშვილები. ირენს ახლაც აქვს ფოტოსურათი, რომელზედაც გამოხატულია მისი სახელოვანი დედა მარია კიური-სკოლოდოვსკაია პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ქალიშვილებით გარშემორტყმული. ამ სტუდენტთა შორის არის ეუენი ფეიტისი (კოტონი), 20-22 წლის ქალიშვილი. ეს ფოტოსურათი ჩვენი საუკუნის დასაწყისი წლებით თარიღდება.

მარია კიურის დახმარებით ეუენი ღებულობს სტაპენდას, რომ მიეცეს საშუალება მოემზადოს გამოცდებისათვის სამეცნიერო ხარისხის მისაღებად. ინსტიტუტის ღირეცია ეუენის არ აძლევს შვებულებას. მაშინ დედობრივად მზრუნველი მარია კიური მას აწყობს უმცროს მასწავლებლად სევრში. ამით ეუენის საშუალება ეძლევა ჩააბაროს გამოცდა და შეუღდეს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

ეუენი ხშირად დადიოდა გამოჩენილი ფრანგი მეცნიერების ცოლ-ქმარ მარია და პიერ კიურის ოჯახში, რომლის ხშირი სტუმარი იყენენ მეცნიერები, მათ შორის პოლ ლანჟევენი, ემე კოტონი და სხვები. შემდეგ ეუენი ფეიტისი გახდა ემე კოტონის მეუღლე.

მალე ეუენი კოტონი იცავს დისერტაციას მარილების მაგნიტურ თვისებებზე მათ სტრუქტურასთან დაკავშირებით. უფრო გვიან ხდედა სევრის ინსტიტუტის ღირექტორი. ეუენი მთელ თავის ენერგიას და გავლენიანობას ანდომებს იმის მიღწევას, რომ ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტი უფლებრივად გაუთანასწორდეს პარიზის პედაგოგიურ ინსტიტუტს. რათა სტუდენტ ქალებს საშუალება მიეცეთ ემზადონ გამოცდებისათვის სამეცნიერო ხარისხის დასაცავად. ამ მიზანს იგი აღწევს ირენ კიურის დახმარებით, როცა ეს უკანასკნელი იყო საფრანგეთის განათლების მინისტრის მოადგილე.

პედაგოგიური ინსტიტუტის ღირექტორის პოსტიდან წასვლის შემდეგ იგი მთელი არსებით მუშაობს მეცნიერების, კვლევის ღარგში, წერს რამდენიმე მნიშვნელოვან შრომას.

ეუენი კოტონი მგზნებარე მებრძოლია იმისათვის, რომ მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კაცობრიობის კეთილღღღობისათვის. მშვიდობის დაცვის კონგრესებზე თუ მიტინგებზე, პრესაში თუ საუბარში, სიტყვით თუ საქმიო იგი ილაშქრებს იმ მეცნიერთა წინააღმდეგ, რომლებიც თანხმობას უცხადებენ იმპერიალისტებს დაამზადონ წყალბადის ყუმბარები, მოამზადონ ბაქტერიოლოგიური ომი.

— ჩვენი მოვალეობა ნათელია. — ამბობს ეუენი კოტონი, — ყველა მამაკაცმა და ყველა ქალმა გადაწყვიტო პროტესტი უნდა განაცხადოს ახალი ომის გაჩაღების ცდის წინააღმდეგ... ქალები, რომლებიც სიცოცხლის მიმნიქებენ არიან და იციან ამ სიცოცხლის ფასი, მუდამ იყენენ ომის უსახიბეკე მტრებისინი თანხმანი არიან თავიანთი სამშობლოს დაცვისათვის მსხვერპლად გაღონ ძვირფასი სიცოცხლე ოცი წლის შვილისა... მაგრამ ისინი არასოდეს არ დასთანხმდებიან მშვიდობიანი მოსახლეობის მხეცურ განადგურებაზე!

ა. ღემბრაქი

ბეერს ჰგონია, რომ მინა ფხენდი ნეითიერებაა, რომელიც არ იღუნება, მაგრამ რაც უფრო თხელია თურმე მინა, მით უფრო მოქნილი ყოფილა. გამთბარი მინიდან რომ გამოვკვიმოთ წვრილი ძაფი, მისი გასკვნაც კი შეგვიძლია.

მინის ამ თვისებას ფართოდ იყენებენ ტექნიკაში. რუსეთის ქარხნებში მინის ისეთი უწყვირისი ძაფები მზადდება, რომლის დანახვა მხოლოდ გამადიდებელი შუშის საშუალებით თუ შეიძლება.

ამ უწყვირისი ძაფისაგან რომ დეცნათ ფანქრის გულის სიმსხო ზონარი, ეს იმდენად მაგარი იქნება, რომ ხელით ვერ გავწყვეტთ. ამგვარი ზონარებისაგან დაწნული თოკით შეიძლება ავხილოთ მუხლუნა ტრაქტორიც კი.

მინის ასეთი თოკი იმთაც არის კარგი, რომ ის არც ღება და არც იქანება.

მინის ბოქოებისაგან ამზადებენ ბამბას, რომელიც არც იწვის და არც სიმუჯისაგან იშლება. ამის გარდა ხმას არ ატარებს. ამიტომ მას ხშირად ნაგებობათა კედლებს შუა აფენენ.

პირველი ველოსიპედი

1801 წელს ურალის ქალაქ ვერხოტურიდან თავისთავად მოსიარულე არნახული ორთველათი მოსკოვს ჩავიდა ურალის ყმა მუშა არტამონოვი. ხალხი განცვიფრებით ათვალერებდა პედალებიან ორთველა მანქანას, რომლის წინა თვალი უფრო მაღალი იყო. მოსკოველები არ უჯერებდნენ არტამონოვს, რომ ურალიდან ამ მანქანით ჩამოვიდა.

ეს არტამონოვი იყო ველოსიპედის პირველი გამომგონებელი მსოფლიოში. ლითონის ველოსიპედები, რომლებიც არტამონოვის თვითმავალ მანქანებს ჰგავდნენ, საზღვარგარეთ მხოლოდ რუსეთში გამოგონების 50 წლის შემდეგ გამოჩნდა.

რუსეთი ველოსიპედების სამშობლოა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამენებულია ველოსიპედების ღიდი ქარხნები, რომლებიც ასიათასობით ჩინებულ მანქანებს უშეგებენ.

პიონერხელმძღვანელის



ქასანძარებლად

პ ი ო ნ ე რ უ ღ ი შ ე კ რ ე ბ ა

როდესაც ხელმძღვანელი იწყებს პიონერებთან მუშაობას, იგი პირველ რიგში ცდილობს მოამზადოს კარგი, საინტერესო შეკრება, ვინაიდან შეკრება პიონერთა კოლექტიური საქმიანობის ძირითადი ფორმაა. შეკრებას ყველა პიონერი უნდა დაესწროს. აქ ჯამდება განვლილი მუშაობის შედეგები, დგება ახალი სიონერული საქმეების გეგმა, იხილება სწავლის, შრომის, მეგობრობის, თამაშობების ძირითადი საკითხები და ამიტომ ბუნებრივია, რომ შეკრებათა ორგანიზებულობა, მათი იდეური დონე თავის დაღს აქვს რაზმეულის, რაზმის, რგოლის მთელ ცხოვრებას.

შეკრების ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეიწყოს გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის განმტკიცებას, გაღრმავებას, შთაუბრავის ბავშვებს კომუნისტური შეხედულებები, საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა.

რით განსხვავდება პიონერული შეკრება საგნობრივი წრის მეცადინეობისა ან გაკვეთილებისაგან? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ეს არის ბავშვთა ორგანიზაციის შეკრება. გაკვეთილზე განსაკუთრებული ყურადღებანი ექცევა ცოდნას, პიონერულ შეკრებაზე კი მთავარი, გადამწყვეტია აღზრდა. ხელმძღვანელი უყრდნობა გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას, აღრმავებს, აფართოებს და იყენებს მას ბავშვთა კომუნისტური აღზრდისათვის.

პიონერულ შეკრებებზე ხელმძღვანელები-სა და მასწავლებლის დახმარებით პიონერები ეჩვენებიან თავიანთი სწავლისა და შრომის დიდი და პატარა საკითხების ორგანიზებულად და პრინციპულად გადაჭრას. მაგრამ შეკრებები სწავლისა და დისციპლინის ტრადიციული „საკითხებით“ და მხატვრული თვითშემოქმედების „ნომრებით“ არ იტარებს ბავშვებს. მათ შეკრებებზე საშუალება უნდა ჰქონდეთ მოუხმინონ. იკამათონ, იშრომონ, გაერთიანდნენ. ფიზკულტურა, სიმღერა და თამაშობანი უნდა იქნის შეტანილი პიონერული შეკრების დღის წესრიგში. მაგ-

რამ ამასთან ერთად შეკრებამ უნდა მიაჩვიოს პიონერები სეროიზულ მუშაობას, მოთმინებას: პიონერს უნდა ვასწავლოთ არა მარტო იმის გაკეთება, რაც მას იტაცებს, არამედ ყველაფრისა, რაც აუცილებელია. თუნდაც იგი სულაც არ იყოს მისთვის საინტერესო. შეკრება ზაფხულობით შეიძლება ჩატარდეს მოედანზე, ეზოში, მიწოდროში, ბაღში, მდინარის პირად, ზამთარში კი საკლასო ოთახში, ქოხ-სამკითხველოში, გამოფენაზე, მუზეუმში.

პიონერებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს კოცონთან შეკრებები. აქ განსაკუთრებით კარგად ტარდება შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან: კოცონთან პიონერები ხალისით უსმევენ საუბარს, მღერიან საყვარელ სიმღერებს, ეკვავენ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეკრებისათვის მზადება, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული შეკრების წარმატება.

წინასწარ უნდა იქნეს განსაზღვრული, რას გააკეთებენ პიონერები შეკრებაზე, რა არის გაკეთებული, დამატებით კიდევ ვინ რა უნდა გააკეთოს.

რაზმის შეკრების გეგმას ხელმძღვანელი ადგენს რაზმის საბჭოს თავმჯდომარისთან ერთად. გეგმის შედგენაში, ცხადია, მონაწილეობას იღებს კლასის დამრიგებელი. გეგმას განიხილავენ რაზმის საბჭოს სხდომაზე. რაზმეულის შეკრების გეგმას უფროსი პიონერხელმძღვანელი ადგენს რაზმეულის საბჭოსთან ერთად. როგორც წესი, რაზმეულის შეკრებისათვის ემზადებიან რაზმების მიხედვით, რაზმის შეკრებისთვის კი რგოლების მიხედვით.

პიონერული შეკრების გეგმა უნდა გამოქმდინარეობდეს რაზმეულის, რაზმის, რგოლის საერთო გეგმიდან.

შეკრებები, ისე როგორც პიონერული მუშაობის მთელი გეგმა, თანდათან უნდა რთულდებოდეს, ცხადია, სასწავლო პროგრამისა და აღმზრდელობითი მუშაობის იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც კლასის თუ სკოლის წინაშე დგას.



III-IV კლასებში რაზმისა და რგოლის შეკრებებმა უნდა უჩვენოს ბავშვებს ჩვენი სამშობლოს სიძლიერე, საბჭოთა ხალხის ბრძოლა მშვიდობისათვის, სსრკ ხალხთა სტალინური მეგობრობა, საბჭოთა ადამიანების ბრძოლა კომუნისმის ამენებისათვის, ნათელი გახადოს ბავშვებისათვის მშობლიური ენის, რუსული ენის სიმდიდრე, ხალხური სიბრძნე, უჩვენოს მათ, თუ რას მიაღწია ადამიანმა მეცნიერების დახმარებით, როგორ გამოიყენა იგი ბუნების გარდაქმნისათვის.

პიონერთა შეკრებებზე უფროს კლასებში, სასწავლო პროგრამის შესაბამისად, გადავდივართ უფრო რთულ საკითხებზე.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციისადმი, მშობლიური ლიტერატურისადმი, ისტორიისადმი მიძღვნილ შეკრებებზე ჩვენ ვცდილობთ გავაცნოთ ბავშვებს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წყარო, გავაცნოთ საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა, კომუნისმის მშენებლობის პერსპექტივები და სხვა.

მიზანშეწონილია სასწავლო წლის დასაწყისიდანვე დაიგეგმოს სამუშაო გეგმის ძირითადი მომენტები. ამ გეგმაში წინასწარ განისაზღვრება შეკრებათა ძირითადი შინაარსი.

რაზმეულის შეკრებები აშეიძლება მოეწყოს თემებზე საბჭოთა სამშობლოს, ხალხთა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღ-

ვაწეობის, კომუნისტური მორალის, კომუნისმის შესახებ. ჩვეულებრივ ასეთი შეკრებები ტარდება რევოლუციურ დღესასწაულებთან, საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. ტარდება აგრეთვე შეკრება-დათვალიერებები, სადაც უჩვენებენ ცალკეული პიონერების, რაზმების, რგოლების, სამუშევრებს ტექნიკის, ხელოვნების, ფიზკულტურის დარგში და სხვა.

რაზმეულის შეკრებისათვის მზადდება აწყობა რაზმეულის საბჭოს სხდომაზე შეკრების გეგმის განხილვით. შეკრება მით უფრო საინტერესო იქნება, რაც მეტი პიონერი მიიღებს მონაწილეობას მის მომზადებაში. რაზმეულის საბჭომ წინასწარ უნდა განსაზღვროს, რა უნდა გაკეთდეს თითოეულ რაზმში, რგოლში, რა დავალებები უნდა შეასრულონ რაზმეულისა და რაზმების საბჭოს წევრებმა. ადრევე უნდა გადაწყდეს, თუ ვისი მოწვევაა საჭირო შეკრებაზე და როგორ უნდა გაკეთდეს ეს. რაზმეულის საბჭომ უნდა მოიფიქროს ხაზის მოწყობის, დროის გამოტანის, პიონერული სიმღერის შესრულებისა და მთელი რიგი სხვა საკითხები.

შეკრების მომზადებისა და ჩატარების დროს მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ პიონერთა ორგანიზაცია ბავშვთა პოლიტიკური თვითმომქმედი ორგანიზაციაა და ამიტომ აუცილებელია უზრუნველყოთ შეკრების ღრმა იდეური შინაარსი.



დ ი ღ ა თ ბ ი ღ ი ს შ ი

ღი თბილისი. შორს მთათა წვერებს გადასწოლია წისლის ფენები. დილაა, ჩვენი ქართული დილა, ჩიტის ჭიკჭიკში განათენები. თითქოს მზე სახლის თავზე ჰკიდია, ხარაჩოები აწვდილან ისე, ო, იცით, რაა თბილისი დილით, მტრედების გუნდს რომ გარს შემოისივს, როცა ათასი საყვირი ერთად ცისკარს მასპინძლად შეეგებება, როცა ბელადის პლატოზე ბუჩქებს ტანი ვარდის ფრად შეეღებებათ,

როცა დაზგები ატეხენ ხმაურს, ამუშავდება რკინის ხელები, როცა სამშობლოს დიდების ვახტზე მწყობრად დგებიან თბილისელებიც! მაშინ ნიაიცი გამოუქროლებს გადაამწვანებულ კობტა ბაღნარებს, ჰკითხეთ ახალ ხილს, ჰკითხეთ ახალ გზას, ჰკითხეთ ხარაჩოს, თუ რა ახარებს! ან ვინ ამენებს ამ ზღაპრულ სახლებს, ან ამ გიგანტებს ვინ მისცა ფერი. თბილისი, ჩვენი ეპოქის პირში, სიხარული და ლხენაა ჩვენი!

რაეპუ ასაძე



(სტალინური პრემიის ლაურეატი პ.ო.შახნაძე ვ. პისარევის საშობრივად)

ჭური სახალხო სიმდიდრეა, ბედნიერი ცხოვრების საწინდარია, ჩვენი სამშობლოს ძლიერების საწინდარია.

ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხალხი ყველა ღონისძიებას ხმარობს იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით იზრდებოდეს ხორბლის, ჭვავის, ფეტვის, სიმინდისა და სხვა მარცვლეული კულტურების მოსავალი. მოსავლის გაზრდის საქმეში კოლმეურნეობებს დიდ დახმარებას უწევს ჩვენი მიჩურინელი მეცნიერები აკადემიკოს ტროფიმე დენისის ძე ლისენკოს მეთაურობით.

უკანასკნელი წლების განმავლობაში შემუშავდა მარცვლეული კულტურების მოყვანის სრულიად ახალი წესები.

აკადემიკოსმა ლისენკომ წინადადება წამოაყენა ნიადაგში შევიტანოთ სასუქი არა ფხვნილის, არამედ წვრილი გორბების სახით. ეს გორბები თესლოდან ერთად იყრება ნიადაგში. ამ წესით სასუქის ხმარების დროს სასუქის ხარჯვა თითქმის ორჯერ მცირდება და მოსავალი ბევრად იზრდება. ახლა ასეთი წესით წარმოებს სასუქის შეტანა დიდ ფართობებზე.

მოსავლიანობის გადიდების საქმეში ბევრი რამ გააკეთეს სელექციონერმა მიჩურინელმა.

ცნობილია, რომ არსებობს სხვადასხვა სახის მარცვლეული კულტურა. ხორბლის ათეული ათასი ჯიში გვაქვს. ამათუ იმ ადგილმდებარეობისათვის სწორად შერჩეული ესა თუ ის ჯიში მოსავალს უსათუოდ აღიღებს.

დიდი ხანია დამებადა აზრი იმის შესახებ, რომ მოსკოვის ახლო მდებარე რაიონებისათვის მეტი მოსავლიანობის მომცემი ხორბლის ჯიშის გამოშვება იყო საჭირო.

საბჭოთა კავშირში ხორბლის ჯიშების საუკეთესო კოლექცია არსებობს, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხიდან არის შეგროვილი. მე გაეფიქრე, რომ ამ სიმდიდრეს შორის, ალბათ, მოიძებნება მარცვლეულის ერთი-ორი ისეთი ჯიში, რომელიც მოსკოვის ახლო მდებარე რაიონებისათვის კარგად გამოდგებოდა.

ამ სხვადასხვა ჯიშის მარცვლეულის შესწავლამ და გამოცდამ ჩვენგან მრავალი წლის დაძაბული შრომა მოითხოვა. ხორბლის ჯიშების არსებულ კოლექციაში მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებისათვის გამოსადეგი კარგი ჯიშის ხორბალი არ აღმოჩნდა. მაშინ მე გადაწყვიტე ასეთი ჯიშის ხორბალი გამომეყენა... ეს ჯიში (ლაპარაკია ვ. პისარევის მიერ გამოყვანილ ხორბლის ახალ ჯიშ „მოსკოვსაზე“) ჰექტარიდან 4-5 ცენტნერით მეტ მარცვლეულს იძლევა, ვიდრე სხვა ჯიშები. ამ ჯიშის მარცვლეული მსხვილია და საუკეთესო ფქვილს გვაძლევს.

საბჭოთა სელექციონერების მიერ გამოყვანილია ხორბლის, ჭვავის, შვრიის, ქერის, ბრინჯის, ფეტვის, სიმინდისა და უგრეხელის ათასობით ახალი ჯიშები. თითოეულ მათგანს იქ თესენ, სადაც ის ყველაზე უფრო მეტ მოსავალს იძლევა.



ნორჩი მოქანდაკე



ზაფხულია... ველ-მინდვრებზე ყვავილების ხანძარია. დოლის პურის ყანებს მკიან და „ჰოპუნას“ დასძახიან.

გრძელ მინდორში, სადაც ჩრდილი აფენია დიდი თელის, კოლა ნეტავ რას აკეთებს ბაბისეულ საქრეთელით?

ჯერ არავის ეუბნება ჩანაფიქრს და გულის ნადებს, მის ადგილას სხვა რომ იყოს, დღეში ათჯერ დაიჭადებს.

როცა ბინდი ჩამოწევა, თეთრ ლოდს თივას დააფარებს, ჩვენი კოლა შინ მიდის და თანამგზავრად მისდევს მთვარე.

მეორე დღეს ტკბილ ოცნებით კვლავ მინდვრისკენ მიიჩქარის... თელის ჩრდილში კვლავ გაისმის საქრეთელის ხმა და ჩქამი.

წარმატებით ფრთაშესხმული შემოქმედი არ იღლებს, ნაქანდაკარს ხან პირდაპირ, ხან გვერდიდან აკვირდება.

აჰა, შრომაც დაამთავრა, კმაყოფილი თითქოს ფრინავს, და ბიჭუნას ლამაზ სახეს ვარდისფერი მიაფენია.

* * *
რაიონში საზეიმოდ მოუწყვიათ გამოვენა. ნახეთ, ერთი, სკოლის ბავშვებს რაოდენი აქვთ მოღვნა.

ყველა ბავშვის ნამუშევარს შესაფერი უნდა ქება, სტენდს ამშვენებს ნახატები, მაღალ კვარცხლბეკს — ქანდაკება.

უხარია ჩვენს კოლასაც, გამოვენის მონაწილეს, ქანდაკებას, მან რომ შექმნა, კაცი თვალს ვერ მოაცილებს.

გამოვენის დიდ დარბაზში ხალხთა მამის ქანდაკება ყველა მნახველს აცისკროვნებს, ვით სიცოცხლის დაბადება.


ეს მან შექმნა, ნორჩმა კოლამ, სიხარულით საქვრეტელი, ეს მან შექმნა საამაყო ბაბისეულ საქრეთელით.

გამარჯვება ერგო წილად ნორჩ შემოქმედს — ბეჯით კოლას, მისმა შრომამ, მისმა ნიჭმა ასახელა სოფლის სკოლა.

გულვა მკველავშილი
მხატვარი გ. დიკი



დეღფანს



ლექსები ჭიჭინაძე

მთხრობა

მატყარი ო. სულაბა

აღრანი დალა იყო. დღღფანა მოწველის შემდეგ არხინად იდგა და იცოხნებოდა. მხოლოდ ნუკრია ქაფიან პატარა ტუჩს ძუძუს არ ამორებდა, რომ ცურში ჩარჩენილი რძე გამოეწოვა. მალ-მალე ამოკრავდა ხოლმე ჯიქანში თავს. ბოლოს ესეც მობეზრდა ნუკრიას, კული აიპრიხა და დედის გარშემო დაიწყო კუნტრუში. რომ მოიქანცა, დღღფანას წინ გაჩერდა. დედამ ენით დაუწყო შვილს ლოკვა. ნუკრიას გაუბრაილდა პატარა, ლამაზი თავი. დრო იყო დღღფანა საძოვარზე წაეყვანათ. ბაბუა თედომაც არ დააყოვნა და თავისი გრძელი ყავარჯნით ბაკიბუკით გამოვიდა ეზოში.

— გივი, მოდი, მომეხმარე! — დაიძახა და ძროხისაკენ გაემართა.

— ახლავე, ბაბუა, მოვდივარ! — გაისმა ბავშვის ხმა.

გივი ხტუნვა-ხტუნვით გაექანა ბაბუსაკენ.

— მე დღღფანას გავიყვან, შენ ნუკრია წამოიყვანე, გრძელი თოკით იქ მიაბი, სადაც კარგი ბალახი იყოს, ისე, რომ დედას ვერ მისწვდეს, თორემ რძეს სულ ეგ გამოწოვს...

მოკლე ნაბიჯით მიმავალ თედოს დღღფანაც ნელა მიჰყვებოდა, თითქოს იცოდა, რომ ბაბუას ჩქარა სიარული აღარ შეუძლია.

— აი, შეხედე, შეხედე! — მიმართა გივიმ ბაბუსს. — ტყუილად კი არ დავარქვი ნუკრია, ხომ მართლა შეველსა ჰგავს?

— თუ კარგად მოუვლი, შეიღზე უკეთესიც იქნება, — უთხრა თედომ.

— მოვეუვლი. ამ ხბოს მე გავზრდი! — გივი სიყვარულით კისერზე მოეხვია ნუკრიას, თვალეზი დაუთოცნა.

თედომ დღღფანა კარგ საძოვარზე დაბა, გივიმაც კარგი ადგილი შეურჩია ნუკრიას.

ბაბუა თედომ იქვე მახლობლად ბალახში ჯირკი დანახა.

— ეს ჯირკი აქ ამდენ ბალახს აფუჭებს, უკეთესი იქნება აქედან მოვაშორო... — წაილაპარაკა თავისთვის ბაბუამ.

— მართლაც, მართლაც, — შემოესმა ხმა უზიდან.

თედომ ხმით გამოიციწო ის, ვინც გამოელაპარაკა.

— ეჰ, ჩემო ფარსადან, რა ეუთხრა ამ მოხუცებულობას. ეს მიშლის ხელს, თორემ რამდენ რამეს გავაკეთებ!

მოხუცებულებმა საუბარი გააბეს. ამ დღღღზე ბევრი ძველი და ახალი ამბავი მოიგონეს. ბოლოს, როცა ფარსადანი თავის გზას გაუდგა, თედო კვლავ დღღფანასთან მივიდა სხვა ადგილზე გადასაყვანად. მაგრამ აი საკვირველებმა: დღღფანა გულდასმით აღარ ძოვს, თვალეზს უცნაურად აბრიალებს, ბალახს უცებ მოგლეჯს და თავადებულნი განაგრძობს ჭამას. თედო შეფიქრდა, ძროხას ხელი გადაუსვა წელზე, თვალეზზე, მოეფერა, მიეალერსა.

— როგორ კანკალებს?! ნამდვილად თვალე ეცა. ამ დღღღით ფარსადანის მეტს არავის დაუნახავს. რა ავი თვალე ჰქონია. ახლა ამას შელოცვის მეტი არაფერი უშველის, — თქვა ბაბუა თედომ და დღღფანას ცალი ხელი რქაში მოჰკიდა, ხოლო მეორე წელზე დაადო და ჩურჩულთ მოჰყვა:

- ალისასა, მალისასა,
- შეგილოცავ თვალისასა,
- პირველ ჩემი თვალისასა,
- შინაურისასა, გარეთლისასა,
- მოხუცებულისასა,
- ყმაწვილისასა,
- თვალჩინისასა,
- თვალშავისასა,
- კოჭლმალისასა,
- ბიქისასა, გოგოსასა.

გივიმ ყური მოჰკრა, ბაბუა თედო რომ დღღფანას ეჩურჩულებოდა, ფეხაკრეფით



—ლაიკარგე აქედან!—ლაუცაცხანა ბაბუამ... — თუ შეგიძლია, ის
ჯირკი გადააგორე...

მიეპარა ბაბუას, შეუმჩნევლად ამოუდგა
. უკან და ყური დაუგდო მის ლაპარაკს:

გაიარა ეზო,
მოიტეხა თეძო,
გაიარა საბძელი,
დაემსო სამზერი,
წავიდა წისქვილში,
ქვა მოხვდა წინ ცხვირში.

ამ სიტყვების თქმა და გივის გადახარხა-
რება ერთი იყო.

— ვინ იყო, ბაბუა, ის კაცი, რომელსაც
თეძო მოსტეხია, თვალიც დავსებია და
ცხვირში ქვა მოხვედრია?

— ავი თვალის მქონე. ხომ ხედავ, ძრო-
ხა როგორ კანკალებს!

— მერე?!

— ავი თვალი ეცა და შეველოცე.

— იპ, რა ავი თვალი, რა შელოცვა!

— ლაიკარგე აქედან! — ლაუცაცხანა ბა-

ბუამ. — შენ ჩემს საქმეს კაცი არ გეკით-
ხება! თუ შეგიძლია, ის ჯირკი გადააგორე,
ძროხა არ მიეზობრკოს თოკით.

გივი ჯირკს მიუახლოვდა თუ არა, უცებ
დაიყვირა:

— ბაბუა!

— რა მოხდა, ბიჭო?

— ზღარბი, ზღარბი!

ჯირკის ქვეშ ზღარბი ნელა თაჩუნებდა
ბალახში.

— ჯოხი, ჯოხი ჩქარა! — შესძახა ბა-
ბუამ, კეტი მოიმარჯვა და ჯირკისკენ გა-
ეჭანა. გივიმაც დასტაცა ჯოხს ხელი და
ზღარბი შორს გადააგორეს ბურთივით.

ამის შემდეგ დელფანამ მადიანად განავრ-
ძო ლორთქო ბალახის ძოვია.

— აი, თურმე, რისა შინებია დელფანას!

— თქვა გივიმ და ბაბუას შეხედა.

მოხუცს თითქოს არ გაუგონია, დარცხვე-
ნილმა გაიხედა გვერდზე.



მ. გლინკა

(ბარლაცვალში დან 95 წლისთავის გამო)

რუსული მუსიკა ცნობილია დიდი და კარგი კომპოზიტორებით, რომლებმაც მას მსოფლიო მნიშვნელობა მოუპოვეს.

გლინკა პირველი კომპოზიტორია, რომელმაც შექმნა პირველი რუსული ნაციონალური ოპერა.

ზნირად გლინკას ბუშკინს აღარებენ. ამ შედარებას აქვს თავისი საფუძველი, ვინაიდან ბუშკინი ითვლება ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებლად, გლინკა კი რუსული ნაციონალური ოპერის შემქმნელად. როგორც ერთმა მუსიკას, ისე მეორემ ლიტერატურას უდიდესი ღვაწლი დასდეს.

რუსული ნაციონალური ოპერის ფუძემდებელი მიხეილ ივანეს ძე გლინკა დაიბადა 1804 წელს სოფელ ნოვოსპასკში (სმოლენსკის გუბერნიაში). ბავშვობის პირველმა შთაბეჭდილებებმა გლინკაზე ღრმა კვალი დატოვა. მთავარი გავლენა მასზე მოახდინა მისი გამწრდელი ავღოტა ივანეს ასულის სიმღერებმა და ზღაპრებმა. გლინკას ავტობიოგრაფიული შენიშვნებიდან ჩანს, რომ ის უკვე ბავშვობიდანვე იცნობდა მრავალ საორკესტრო ნაწარმოებს.

1817 წელს გლინკა ჩარცხულ იქნა პეტერბურგის კეთილშობილთა პანსიონში, სადაც სხვა საგნებთან ერთად ის სწავლობდა მუსიკას ცნობილი მუსიკოსების ხელმძღვანელობით. გლინკამ პანსიონში ყოფნის დროს 1822 წელს დაწერა პირველი მუსიკალური ნაწარმოები.

1830 წელს გლინკა მიემგზავრება საზღვარგარეთ. მან შემოიარა შვეიცარია, იტალია და გერმანია.

1834 წელს გლინკა დაბრუნდა რუსეთში და უუკოვსკის რჩევით დაიწყო ოპერა „ივანე სუსანიის“ წერა. ეს იყო პირველი რუსული ნაციონალური ოპერა.

ოპერის პრემიერა ჩატარდა პეტერბურგში 1836 წელს. მას მაღალი შეფასება მისცა გლინკას თანამედროვე მწერალმა და მუსიკის მცოდნემ ოლოფკსკიმ. მან აღნიშნა: „ხელოვნებაში იწყება ახალი პერიოდი, რუსული მუსიკის პერიოდი“. გლინკას შემოქმედებას გამოეხმაურა გოგოლიც. „გლინკას ოპერები მშვენი-

ერი დასაწყისია,—წერს გოგოლი,—მან შესწლო თავის შემოქმედებაში შეეერთებინა ორი სლავიანური მუსიკა“ (გულისხმობა რუსულსა და პოლონურს). რაც შეეხება რუს არისტოკრატებს, ის ოპერა „ივანე სუსანიის“ ცივად შეხვდა. მისმა წარმომადგენლებმა ოპერაში დაინახეს ხალხური მუსიკის გამოყენება. ამიტომაც ამ ოპერის მუსიკას „მეეტლებების მუსიკა“ უწოდეს.

„ივანე სუსანიის“ შემდეგ გლინკამ დაიწყო ოპერა „რუსლან და ლულემილას“ წერა. გლინკას მუშაობა „რუსლანზე“ გაქიანურდა, რაც გამოწვეული იყო კომპოზიტორის ცუდი საყოფაცხოვრებო პირობებით.

„რუსლან და ლულემილა“ პირველად დაიდგა 1842 წელს პეტერბურგში, პრემიერის შემდეგ გლინკა ძალუბებული გახდა მიეტრევიანა რუსეთი და გამგზავრებულიყო საზღვარგარეთ. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა საფრანგეთში, ესპანეთსა და გერმანიაში.

1850 წელს გლინკა დაბრუნდა სამშობლოში. იგი აღნიშნავდა: საზღვარგარეთ ცხოვრების დროს „მე დავრწმუნდი იმაში, რომ მე სულთ რუსი ვყოფილვარ“.


რუსეთში დაბრუნების შემდეგ გლინკა დაუახლოვე-

და ახალგაზრდა მუსიკოსთა ჯგუფს, რომელთა შორის თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ დარგომიჟსკი, სეროვი და ძმები სტასოვები.

გლინკა გარდაიცვალა 1857 წელს ბერლინში. იმავე წლის მაისში მისი გვამი გადმოიტანეს სამშობლოში და დასაფლავეს პეტერბურგში.

გლინკას მუსიკალური მემკვიდრეობას შეადგენს ოპერები: „ივანე სუსანიის“, „რუსლან და ლულემილა“ და ერთი დაუმთავრებელი ოპერა „ორქმრინა“, სონეტები, მრავალი სიმფონიური და ვოკალური ნაწარმოები. გლინკას მუსიკალური შემოქმედება რუსული ნაციონალური მუსიკის დიდი შენამჩენია.

ბ. რჩეულიძე



მ. გლინკა



არა ერთხელ გაუციცხავთ
მშობლებსა და სკოლას,
მაგრამ მაინც ონავარი
ბავშვი დარჩა გოლა.

დარჩა ისევ ჩხუბის თავი,
ბაქია და ლაზლანდარა,
კვლავ ტოლებში შუბლზე კოპი
ბევრს დაასვა ამ პატარამ.

შინ დაიკოს მელნის შხეფით
თეთრი ბანტი გაუფუჭა...
აკლებული ჰქონდა ეზო,
აკლებული ჰქონდა ქუჩა.

არა ერთხელ გაუციცხავთ
მშობლებსა და სკოლას,
მაგრამ მაინც ონავარი
ბიჭი დარჩა გოლა.

ერთხელ დილით, როს ტრამვაის
აედგენა მისებრ მარდად,
საფეხურზე მარცხად ფეხი
დაუსხლტა და... ძირს დავარდა.

— ვაი, მუხლი! ვაი, მუხლი! —
საცოდავად აღრიალდა.

მყისვე ხალხი მიეშველა,
ყველა ფხიზლად დატრიალდა.

მოეფერნენ, ანუგეშეს,
გონს მოვიდა ბიჭუკელა,
გრძნობდა — ახლა მისთვის დედა,
მისთვის მამა იყო ყველა.

მზრუნველებმა ამ ფუსფუსში
მეტი აღარ დაახანეს
და ავტოთი გოლა სადღაც
ექიმებთან გააქანეს.

დღეს ქუჩაში დავინახე
ონავა/ი გოლა ჩვენი,
თვალი აღარ უცინოდა
განკურნებულს, გადარჩენილს, —
მარჯვენა ფეხს გულსაკლავად
მიათრევედა ყაყარუგენით.

გიორგი კაჭახიძე

მხატვარი ა. კანდელაკი





ქ. მახარაძის საბავშვო სახლი. კრა-კერვის შემსწავლელ სახელოსნოში.

მ შ ო ბ ლ ი უ რ ი კ ე რ ა

ფოსტალიონს ხშირად მოაქვს ქ. რუსთავიდან გამოგზავნილი პაკეტები მისამართით: „ქ. თბილისი, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს აშხ. ბენიამინ მანთიძეს“. ეს წერილები ეკუთვნის ალექსანდრე გრიგორიშვილს. იგი ქ. რუსთავის თბოელექტროცენტრალის ცნობილი სტახანოველია, რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. მასზე ხშირად წერენ გაუთებზე, ქება-დიდებას ასხამენ მის შრომას... ადრე დაობლებული ბიჭი ქ. მახარაძის ბავშვთა სახლმა მშობლიურად მიიღო, აღზარდა, დაავაჟკაცა და გაუშვა ჩვენი დიადი სამშობლოს შრომით სარბიელზე.

საიდან დამეგობრდნენ ალექსანდრე და ბენიამინი— მეცნიერების კანდიდატი და მუშა?

არც ბენიამინ მანთიძეს ჰქონია უზრუნველი ბავშვობა. მშობლები ადრე გარდაეცვალა. უღედმაშო ბიჭი მახარაძის ბავშვთა სახლში მიიყვანეს. ბენიამინმა აქ გაიცნო ალექსანდრე. აქედან დაიწყო მათი დამშობილებაც.

არა ერთი და ორი სახელოვანი ვაჟკაცი და ქალიშვილი აღუზარდა სამშობლოს თავისი არსებობის ოცდაათი წლის მანძილზე ქ. მახარაძის ბავშვთა სახლში. აქ აღიზარდნენ ორდენოსანი აგრონომი აკაკი თოხაძე, საქართველოს ალექსანდრე მახარაძის რაიკომის პიონერთა და მოსწავლეთა შორის მუშაობის განყოფილების გამგე ლილი პატარავა, დამსახურებულ მასწავლებელი გ. კალანდაძე, ექიმი ლ. თოძი.

აქ აღიზარდნენ და აქვე არიან აღმზრდელებად მგებე ბებნაძე, ღინა თინგიშვილი, ლიდა ჩხიკვაძე და უფროსი პიონერხელმძღვანელი ლიდა შპირჩუკი.

ბავშვთა სახლი და მისი აღზრდილები როდი ივიწყებენ ერთმანეთს. მათ სისტემატური მიწერ-მოწერა აქვთ ერთმანეთთან.

საინტერესო შინაარსის წერილებს გზავნიან ბავშვთა სახლში ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის წარჩინებული სტუდენტები ტოგო უჯმაჯურისძე და ტანია სუკოვა, ქ. თბილისის

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი ალ. ბოჟაძე, რომელმაც ოქროს მედლით დაამთავრა მახარაძის ვაჟთა საშუალო სკოლა, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსის ფრიალასანი სტუდენტი ითერი კილურაძე და სხვები.

ღამაში ბუნების წიაღშია აღმართული ქ. მახარაძის ბავშვთა სახლის მიმზიდველი, ქართული არქიტექტურული სტილით გაფორმებული ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომლის გარშემო მზრუნველ ხელს მრავალი სახის მარადმწვანე მცენარე დაურავს და გაუხარებია.

ბავშვთა სახლს აქვს ეთილომოწყობილი პიონერთა ოთახი, სპორტული დარბაზი, ფრენბურთის, კალაობურთისა და ფეხბურთის მოედნები, ნათელი ბინები, სასადილო, საშაჩარეულო და სხვ.

ბავშვთა სახლის აღსაზრდელობის კურორტ ბახარაში მთავრობამ ააგო ოცდაათიმეტოთახიანი ორსართულიანი სახლი, სადაც ყოველ ზაფხულს აღსაზრდელები კულტურულად ისვენებენ და ერთობიან.

ბავშვთა სახლის განკარგულებამა 8,5 ჰექტარი ხეხილის ბაღი. აქ ბავშვების მიერ 1947 წლიდან დღემდე 70000 ძირი სხვადასხვა სახის ხეხილია გახარებული. ამ ბაღშია ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის, გერანის, ტუნგოს, ლედვის, ბროწეულის, ვაშლის, მსხლის, ატმის, კომშის მსხმოიარე ხეები.

ბავშვთა სახლს აქვს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები. ჰყავთ 10 სული მეწველი ძროხა, 70 ღორი, ასობით ფრთა ფრინველი, ცხენები და სხვა. აღნიშნული მეურნეობის ბატონ-პატრონი თვით აღსაზრდელები არიან. ხეხილის ბაღში ნორჩი ნატურალისტები მუშაობენ, ფერმებში კი ახალგაზრდა მეცხოველეები.

მახარაძის ბავშვთა სახლის აღსაზრდელობის დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჯერ კიდევ 1947 წელს ცნობილი

მა ჩობოტოველთა მოწოდებამ ჩვენი სამშობლოს ბაღ-
ვენახებით გამშვენიერების შესახებ. ნორჩ ნატურა-
ლისტთა წრეში მრავალი ბავშვი ჩაება. 1948 წელს
ბავშვთა სახლმა გაიმარჯვა ნორჩ მებაღეთა საკავში-
რო კონკურსში, მიიღო საკავშირო ალკც ცენტრალურ-
რი კომიტეტის გარდამავალი დროშა და ფუფილი
პრემია 5 ათასი მანეთის რაოდენობით. აღსანიშნავია,
რომ ნორჩი მებაღეები გარდამავალ დროშას არავის
ანებებენ, დღემდე ინარჩუნებენ მას.

მთელს მახარაძის რაიონში ფართოდ არიან ცნო-
ბილი ბავშვთა სახლის აღსაზრდელი ნორჩი ნატურა-
ლისტები: ლილა ქანტურია, ლილი კვაჭაძე, ნანული
კალანდაძე, ნათელა დუმბაძე, მიხეილ ნიუარაძე და
სხვები. თითოეულ მათგანს 20-30 სხვადასხვა ჯიშის
მცენარე აქვს გაზარებული.

ნორჩ ნატურალისტებს არ ჩამორჩებიან შრომაში
ნორჩი მეცხოველეები ნელი პროხოცო, აკოვ ზარიანი,
ნუნუ ყაზაშვილი, ქართლოს ნოზაძე და სხვები.

სამაგალითოდ მუშაობს ბავშვთა სახლის პიონერულ-
ლი ორგანიზაცია, რომელსაც აქვე აღზრდილი ლილა
შპირჩუი ხელმძღვანელობს. პიონერული ორგანიზა-
ცია შინაარსიანად ატარებს რაშმეულის, რაშმეხსა
და რგოლების შეკრებებს, აწყობენ ექსკურსიებს, კო-
ლექტიურ სვლებს კინოთეატრებში. მისასალმებელია
ის, რომ პიონერული ორგანიზაცია სისტემატურად
აწყობს კინოფილმებისა და სპექტაკლების განხილ-
ვას.

ამას წინათ ბავშვთა სახლის პიონერულმა რაშმე-
ულმა შესანიშნავი შეკრება ჩაატარა. შეკრების თემა
ყო „ჩვენ მშვიდობა გვინდა“. შეკრებაზე მოსმენილ
იქნა მოხსენება მშვიდობის საკითხზე, პიონერები გა-
მოვიდნენ სიტყვებით, მშვიდობისადმი მიძღვნილი სა-
კუთარი ლექსებით.

შეკრების შემდეგ გაიმართა კონცერტი ბავშვთა
სახლის თვითმოქმედი კოლექტივის მონაწილეობით.
კონცერტი თემატკურად თითქმის მთლიანად მშვიდობის
დაცვის იდეას ეხმარებოდა.

ბავშვთა სახლის პიონერულმა ორგანიზაციამ თავის
მუშაობას საკავშირო ალკც ცენტრალური კომიტეტის
მეშვიდე პლენუმის გადაწყვეტილებანი დაუდო სა-
ფუძვლად. კიდევ უფრო დიდი ყურადღება დაეთმო
ბავშვებში შრომითი ჩვევების გამომუშავების მიზნით
სხვადასხვა წრის მუშაობას. დამატებით შეიქმნა აკინძ-
ვის საქმის შემსწავლელი და ხელსაქმის წრეები. ამ
წრეებში 70-ზე მეტი აღსაზრდელი ჩაება.

აღმზრდელბთან ერთად სახლის კომკავშირულ და
პიონერულ ორგანიზაციებსაც დიდი დამსახურება მი-
უძღვით: 127 აღსაზრდელი მოსწავლედან, უკვე მეტუ-
თე წელია, სწავლაში ჩამორჩენილი არა ჰყავთ.

ბავშვთა სახლის ოთხი აღსაზრდელი, რომელნიც
ქ. მახარაძის საშუალო სკოლების მეთერთმეტე კლას-
ებში სწავლობენ, ოქროსა და ვერცხლის მედლების
კანდიდატები არიან, ხოლო 60-ზე მეტი აღსაზრდელი
ოთხოსანი და ხუთოსანია.

სკოლებში წარჩინებული სწავლით, საზოგადოებრი-
ვი მუშაობითა და თავაზიანობით გამოირჩევიან ვალია
და ნორა ილინები, ლიზა და ნიკოლოზ ნედოსკინე-
ბი, ვალენტინა ზადეცკაია, მერი და გუგული კილურა-



ნორჩი ნატურალისტი ლ. ქანტურია

ძეები, კალენიკ ნოზაძე, ჯემალ ჟღენტი, როზა ჩხიკ-
ვაძე, ციალა მამინაშვილი, ვახტანგ ჯავახაძე, თანია
ზახილია, ციალა დლონტი და მრავალი სხვა.

საბავშვო სახლის აღსაზრდელბს მეგობრული მი-
წერ-მოწერა აქვთ გამართული ჩვენი დიდი ქვეყნის
სხვადასხვა ქალაქების ბავშვთა სახლების აღსაზრდე-
ლებთან და სკოლების მოსწავლეთთან.

მახარაძელი აღსაზრდელი საინტერესო წერილებს
სწერენ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის
22-ე საბავშვო სახლის აღსაზრდელბს. ისინი თავიანთ
საქმიანობაზე სწერენ აგრეთვე ლენინგრადის, კიევის,
ხარკოვის, მინსკის საბავშვო სახლების აღსაზრდელბ-
სა და მოსწავლეთებს, უგზავნიან მათ საჩუქრებს.

ბავშვთა სახლის აღსაზრდელბს დედობრივ მზრუნ-
ველობას და აღერსს არ აკლებენ აღმზრდელი. დი-
რექტორი უ. კეიშვილი მეთოთხმეტე წელია თავს
დასტრიალებს მათ. ბავშვთა აღზრდის საქმეს კეთილ-
სინდისიერად ემსახურებიან ნაღია ჩანჩიბაძე, ელენე
დოლიძე, ვერა კილაძე, შურა ინწკირაელი, ციალა
გუგუაძე, ზინა რუსიძე და სხვები.

ქ. მახარაძის ბავშვთა სახლის თავისი არსებობის 30
წელი გასული წლის ნოემბერში შეუსრულდა.


ლაიპო გინაძე

საქადრაკო ხელოვნების მწვერვალზე



1925 წლის ნოემბრის სუსხიან დღეს ლენინგრადის ფილარმონიის ხალხით გაკედილ დარბაზში უჩვეულო გამოცოცხლება იყო. ყველა ღელავდა. ამჯერად დარბაზში ჩვეულებისამებრ არ ისმოდა არც ბეთოოვენის გმირული სიმფონია, არც ჩაიკოვსკის ლირიკული მელოდიები...

აბსოლუტური სიწყნარე გამეფდა. მსოფლიო ჩემპიონი ქადრაკში, სახელგანთქმული გროსმაისტერი ხოზე რაულ კაპბლანკა, ლენინგრადელ მოქადრაკეთა წინააღმდეგ ერთდროული თამაშის სენას ატარებდა.



მ. ბოტვინიკი

მსოფლიო ჩემპიონი დაამარცხა რამდენიმე მოქადრაკემ. გამარჯვებულთა შორის იყო თითხმეტი წლის მოსწავლე შიშა ბოტვინიკი, რომელსაც ქადრაკის თამაში წელიწად-ნახევრის წინ ესწავლა და ამ ხნის განმავლობაში უკვე პირველი საკავშირო თანრიგის მოუპოვებია. ასეთი იყო მიხეილ ბოტვინიკის პირველი

წლის მოსწავლე დევი (ახე უძახდნენ პატარა დავითს) ბრონშტეინი. რასაკვირველია, არც ერთი ოსტატი მას არ თვლიდა თავის კონკურენტად საბრძოლო ადგილზე, მაგრამ წყნარმა ბიჭუნამ დაარღვია მათი მოლოდინი. მან რამდენიმე ძია-ოსტატი დაამარცხა. ათი შესაძლებელიდან 8 1/2 ქულით მან პირველი ადგილი დაიკავა. ელვის სისწრაფით მოელო მთელს საბჭოთა კავშირის ნორჩი მოქადრაკის დიდი გამარჯვების ამავეი.

16 წლის ბრონშტეინი უკვე ოსტატი ხდებოდა. სტოკჰოლმის საერთაშორისო ტურნირში 1948 წელს ბრონშტეინი აღწევს უდიდეს გამარჯვებას—იგი ამარცხებს ევროპის უძლიერეს მოქადრაკეებს და იღებს პირველ ადგილს, რის გამოც მას გროსმაისტერის წოდება ენიჭება. დ. ბრონშტეინი საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონია (1948 და 1949 წლებსა). მისგან დამარცხებუა განიცადებდა გროსმაისტერებმა პ. კერესმა,



დ. ბრონშტეინი

ბრწყინვალე დებიუტი საქადრაკო ხელოვნების გზაზე. ამის შემდეგ ბოტვინიკი სულ მალე აღწევს დად წარმატებებს. 16 წლისა ის ხდება საქადრაკო სპორტის ოსტატი, 20 წლისა—საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და 24 წლისა—სსრ კავშირის პირველი გროსმაისტერი.

ბოტვინიკმა საქადრაკო ასპარეზზე მოღვაწეობის მთელს მანძილზე დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონები ემ. ლასკერი (1868-1941), ხ. კაპბლანკა (1898-1942), ა. ალიოზინი (1892-1946), მ. ეივე, გროსმაისტერები ს. რეშევსკი, გ. შტალბერგი, ბ. ფლორი, პ. კერესი, ვ. სმისლოვი და სხვები.

მ. ბოტვინიკი საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონია.

უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონის ა. ალიოზინის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ საერთაშორისო საქადრაკო ფედერაციამ 1948 წელს მოაწყო მატრ-ტურნირი მსოფლიოს პირველობაზე სახელგანთქმული გროსმაისტერების: მ. ბოტვინიკის, პ. კერესის, ვ. სმისლოვის (სსრ კავშირი), ს. რეშევსკის (აშშ), მ. ეივეს (პოლანდია) მონაწილეობით. ამ ტურნირში მ. ბოტვინიკმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და მას მსოფლიო ჩემპიონის საპატიო წოდება მიენიჭა.

1938 წელს უკრაინის დედაქალაქ კიევი გამოირა საბჭოთა კავშირის ოსტატების მტად საინტერესო საქადრაკო ტურნირი. მოსწავლეთა ტურნირებში განსაკუთრებული წარმატების მოპოვების გამო შეჯამ-რებაში დაშვებული იყო მეორე თანრიგისაანი, კიევის პიონერთა სახსლის საქადრაკო კაბინეტის წევრი, 14

ვ. სმისლოვა, ი. ბოლესლავსკიმ, ა. კოტოვა და სხვებმა. ბრონშტეინმა, 1944 წელს გროსმაისტერ მ. ბოტვინიკსაც მოუგო პარტია.

1950 წ. ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირში, სადაც მონაწილეობდა მსოფლიოს ათი უძლიერესი მოქადრაკე, ბრონშტეინმა I-II ადგილი გაიყო ი. ბოლესლავსკისთან (სსრ კავშირი). ხოლო მასთან მატჩის მოგების შემდეგ მოიპოვა უფლება შესცილდებოდა მ. ბოტვინიკს მატჩში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე. ამრიგად, თანამედროვეობის ორმა დიდმა საბჭოთა მოქადრაკემ მიაღწია საქადრაკო ხელოვნების მწვერვალს.

1951 წ. 16 მარტს მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში დაიწყო მატჩი მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულზე მსოფლიო ჩემპიონ ბოტვინიკსა და მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა გროსმაისტერ ბრონშტეინს შორის. მატჩის პირობის მიხედვით მოწინააღმდეგეებს უნდა ეთამაშათ 24 პარტია. როდესაც მსოფლიო ჩემპიონი დაავროვებდა 12 ქულას, მატჩი უნდა შეწყვეტილიყო და ბოტვინიკი შეინარჩუნებდა თავის სახელს; თუ ბრონშტეინი დაავროვებდა 12 1/2 ქულას, მაშინ მას რჩებოდა გამარჯვება და იგი ხდებოდა მსოფლიო ჩემპიონი.

ორ თვეს გაგრძელდა ეს საინტერესო ორთაპრძოლა. მატჩი ყაიმით დამთავრდა 12:12 და ამით მ. ბოტვინიკმა კვლავ შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ამ მატჩის შესახებ ამბობენ, რომ აქ არის გამარჯვებული და არ არის დამარცხებული.



თ. გიორგაძე



გ ა ს ა რ თ ო ბ ი

თ ა ვ ს ა ტ ე ზ ი

დაცავით ეს ფიგურა ოთხ, სიდიდით თა
ნასწორ და ფორმით ერთნაირ, ნაწილად
ისე, რომ არ გასკრათ არცერთი ყვავილი.
თითოეულ ნაწილში 2⁵ ყვავილი უნდა იყოს.



შ ი ნ ა ა რ ს ი

მ. ლებანიძე — თებერვალი	23-	პური	23
პ. კოსრიძე — 31 წლის საბჭოთა რესპუბლიკა	2	შ. შველაშვილი — ნორჩი მოქანდაკე	24
ს. იორამაშვილი — მონადირე	4	ლ. ქიქინაძე — დელფინა	25
გ. ხუხაშვილი — შთაგონება	7	ა. ჩჩუელიშვილი — გლინკა	27
კ. მესხი — ერთი მრავალთავანი	10	გ. კაჭახიძე — ონეგარი	28
შ. ძამაშვილი — სამგორის ბრძოლა	12	დ. ბიწაძე — მშობლიური ყვრა	29
პ. ვორონკო — გამარჯვება შენ	17	თ. გიორგაძე — საჰაერაო ხელოვნების მწვერვალზე	31
ხ. ბერუღვა — ჩემს მასწავლებელს	17	გასართობი	32
ნ. მამაცაშვილი — სკოლის ექიმი	18	ჩვენი კალენდარი	გარეკანის მე-3 გვ.
მ. დემეტრაძე — ეყენი კოტონი	19	გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა	ეკუთვნის
პიონერხელმძღვანელის დასახმარებლად	21	მხატვარ ა. ბანქელაძეს.	
რ. ესაძე — დილა თბილისში	22		

რედაქტორი ბ. კ ა მ ა ხ ი ძ ი. სარედაქციო კოლეჯია: ე. აბლაძე, დ. გვრიტიშვილი, მ. მარ-
ლიაშვილი, ბ. თავაშვილი, მარიკვანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შებელია.
პასუხისმგებელი მდივანი მ. თორღაშვილი. სამხატვრო რედაქტორი ბ. შოთაშვილი.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

№ 01109 ტირაჟი 15,200 გამოცემლობის შეჯ. № 58 სტამბის შეჯ. № 138

პ. ბერეას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14
ფურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ხარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.



ჩვენი კალენდარი



ნ. ორჯონიკიძე

18 თებერვალს 15 წელი შესრულდა გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის გარდაცვალებიდან. მისი სიკვდილით ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა განიცადა უდიდესი დანაკლისი.

ნ. ორჯონიკიძე დაიბადა 1886 წლის 28 ოქტომბერს ხარკოვლის (ახლა ორჯონიკიძის) რაიონის სოფ. ლორეშაში. მამამისს მხოლოდ რამდენიმე ქვეყა შწირი მიწა-ლა ჰქონდა და წლის სარჩო რომ ვერასოდეს ვერ მოჰყავდა, გადიოდა გარესამუშაოზე, მარჯანეტს ეწოდებოდა კიათურის მაღაროებში. სერგოს, ჯერ კიდევ ძუძუმწოვარა ბავშვს, დედა გარდაცვალა, ხოლო 7 წლისას მამა იგი იზრდებოდა დედის — ეკა თავზარაშვილის ოჯახში. ეკას შეუღლე დავით ორჯონიკიძე კონსტანტინეს შორეული ნათესავი იყო. სერგო სწავლობდა ჯერ ლორეშაში, შემდეგ ხობში, ხარკოვლში, თბილისის საფერშო სკოლაში. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა, როგორც გამბედავი, პირდაპირი, გულყეთილი, სწავლას მოწყურებული. სერგო თავიდანვე მშრომელთა მექობავე და მათი ინტერესების დამცველი იყო. 17 წლისა შედის ლენინ-სტალინის დიადი პარტიის რიგებში. მგზნებარე რევოლუციური მუშაობისათვის არა ერთხელ ყოფილა დაპატიმრებული და გადასახლებული. ოქტომბრის რევოლუციის მომ-

ზადებასა და გამარჯვებაში მას უდიდესი წვლილი მიუძღვის, როგორც შეხანიშნავ ორგანიზატორს, ლენინის მოწაფეს და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს.

სამოქალაქო ომის წლებში იყო მრავალ ფრონტზე, როგორც წითელი არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი. ხელმძღვანელობდა თეთრგვარდიელთა განადგურებას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ჩრდილოეთ კავკასიაში, შემდეგ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელთა ბრძოლას იმპერიალისტ ინტერვენტთა და მათი აგენტურის — შენევიელების, მუსავაგთა და დამნაკთა კონტრრევოლუციური პარტიების წინააღმდეგ. იგი პირველი ორგანიზატორი იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა.

ნ. ორჯონიკიძე სიკვდილამდე 7 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის შიმში ინდუსტრიას. იგი იყო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი. შიმში მრეწველობის სახალხო კომისარი.

3. ჰიუგო

150 წლის წინათ საფრანგეთის ქალაქ ბეზანსონში დაიბადა უდიდესი მწერალი ვიქტორ ჰიუგო. მას მამა ნაპოლეონის არმიის ოფიცერი იყო, დედა კი ნანტელი გემის მებატრონის ქალიშვილი. გასული საუკუნის 30-იან წლებიდან ჰქუხს ვ. ჰიუგოს სახელი მთელ მსოფლიოში. მისი მრავალრიცხოვანი ნაწარმოებები და უმთავრესად რომანები „პარიზის ღვივსმშობლის ტაძარი“, „კაცო, რომელიც იცინის“, „1793 წელი“, „კლოდ გე“, დრამა „კრომველი“, ლირიული კრებულები და ბევრი სხვა მთელი კულტურული კაცობრიობის ძვირფასი შენაძინად იქცა. ზოგიერთი მისი რომანი ქართულადაც არის თარგმნილი და ბევრ შეყვანს წაუკითხავს, ხოლო მწერლის ცნობილი ლექსი „პარიკადებზე“, რომელიც პარიზის კო-


მუნისტების ბრძოლას ეხება, თქვენს კიდევ გისწავლიათ სკოლაში.

ჰიუგომ ადრე დაიწყო წერა. 15 წლისამ დაწერა ლექსი საკოეკურსოდ, რომელშიც საფრანგეთის აკადემიის საპატიო გამომხატურება ჰპოვა. ცოტა უფრო გვიან გამოცემულმა ოდების კრებულმა 20 წლის ჰიუგუს მეფის პენსია და ლიტერატურული სახელი მოუხვეჭა. იგი შრომობდა შეუპოვრად. იყო აკადემიის წევრი, საფრანგეთის პერი, დეპუტატი, რესპუბლიკელი, დიდი ტრიბუნი და ჰუმანისტი, სენატორი. მთელი თავისი ხანგრძლივი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მოწემა და მონაწილე იყო საფრანგეთის დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მოვლენებისა, რაც მის ნაწარმოებებში აისახა. პარიზის კომუნის აღფრთოვანებით შეხვდა. თავისი პოლიტიკური და სოციალური მსოფლმხედველობით იგი თავიდანვე მერყობდა — იყო როიალისტი და კათოლიკოსი, ბონაპარტისტი და რესპუბლიკელი, პარიზის კომუნის დამცველი და უტოპიური სოციალიზმის იდეების მქადაგებელი. ვ. ჰიუგო დიდი ჰუმანისტი და მორალისტი იყო — უმწყო ბავშვებისა და ქალების მწარუხველი მექობავე, აღამიანის პიროვნების



თავისუფლებისათვის მებრძოლი. ჰიუგო საფრანგეთის რომანტიზმის დიდი წარმომადგენელია.

ვ. ჰიუგოს უდიდეს პოპულარობაზე, მისი ნაწარმოებებისადმი მრავალმილიონიან მკითხველთა მასის სიყვარულზე მოწმობს მისი გრანდიოზული ლიტერატურული შემოხავალი, — კვდებოდა რა, 83 წლის გენიალურმა მწერალმა, თავის ოჯახს დაუტოვა 7 მილიონ ფრანკზე მეტი.



ჩვენს ბედნიერი მოსწავლე ახალგაზრდობა
ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოს-
წავლეთა სასახლის სარკეებიან დარბაზში.

ფოტო რ. აკაყოვასა

